პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„КОМУНИСТИ“ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
12 სექტემბერი
1940 წ.
№ 212 (5913)
ფასი 10 კაპ

## რაიონული გაზეთი და პარტიული პროპაგანდა

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლამ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებამ უდიდესი გაქანება მისცა პარტიულ პროპაგანდას. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არაჩვეულებრივად გაიზარდა ინტერესი რევოლუციური თეორიის შესწავლისადმი.

როგორც ცნობილია, პარტიულ პროპაგანდაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბეჭდვითს პროპაგანდას. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებამ ლახვარი ჩასცა ბეჭდვითი სიტყვის, როგორც პროპაგანდის საკავშირო ტრიბუნის, მნიშვნელობის შეუფასებლობას. თვალსაჩინოდ ამაღლდა ბეჭდვითი სიტყვის როლი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში. ბეჭდვითი პროპაგანდის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რაიონულ პრესასაც. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 16 აგვისტოს დადგენილებაში „ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ორიოლისა და კურსკის ოლქებში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენების შესახებ“ ნათლად არის გარკვეული კერძოდ რაიონული პრესის ამოცანები მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში. იქ ნათქვამია: „...რაიონული გაზეთები ვალდებული არიან გააშუქონ არა მარტო პროპაგანდის ორგანიზაციული გამოცდილება, არამედ შეფასებაც მისცენ ლექციების, კონსულტაციების, წრეების მეცადინეობის ხარისხს, შინაარსს. არასწორად ჩაითვალოს თეორიულ საკითხებზე კონსულტაციით გატაცება ზოგიერთი რაიონული გაზეთის ფურცლებზე“.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ მითითების განსახორციელებლად საქართველოს რაიონულმა გაზეთებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. საქართველოში რაიონული გაზეთების უმრავლესობამ შესძლო ისე გარდაექმნა მუშაობა, რომ ეჩვენებინა პროპაგანდის ორგანიზაციული გამოცდილება, წარემართა საზოგადოებრივ-პარტიული აზრი იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. ზოგან რაიონული გაზეთების მუშაობას პარტიული პროპაგანდის გაშუქების საქმეში ჯერ კიდევ ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებები.

რაში მდგომარეობენ ეს ნაკლოვანებანი?

ზოგიერთი რაიონული გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ ვხვდებით თემატიკის სიღარიბეს. ისინი ვერ სწვდებიან პარტიული პროპაგანდის მთელ სიღრმეს, ვერ იჩენენ ინიციატივას; უსათუოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ბევრი რაიონული გაზეთის ფურცლებზე პარტიული პროპაგანდის გაშუქებისას თავი იჩინა შაბლონმა, საკითხის ზერელე გაშუქებამ; ისინი მეტწილად დაინტერესებული არიან სტატისტიკით, საკითხის ციფრობრივი მხარით: რამდენი ლექცია იქნა წაკითხული, ვინ რამდენ თავს სწავლობს, რამდენი წრეა ჩამოყალიბებული და რამდენი კაცია მათში გაერთიანებული. რაიონულ გაზეთებში პროპაგანდის საკითხებზე დაბეჭდილი მასალები ზოგ შემთხვევაში მშრალი და ერთფეროვანია. ამიტომ გასაგებია, რომ ასეთი მასალების მიცემით გაზეთი მაორგანიზებელ როლს ვერ ითამაშებს.

ამ მხრივ დამახასიათებელია ყვარლის რაიონული გაზეთის — „ლენინური გზით“ მუშაობა. გაზეთს 27 აპრილიდან 1 სექტემბრამდე არცერთი მოწინავე არ მიუცია პარტიული პროპაგანდის საკითხებზე. გაზეთი პარტიული პროპაგანდის საკითხებზე მხოლოდ ინფორმაციულ მასალებს აძლევს, არ იჭრება საკითხის სიღრმეში; ასევე იქცევა გეგეჭკორის რაიონული გაზეთი „სოციალისტური სოფელი“. გაზეთი შემთხვევიდან შემთხვევამდე აშუქებს პარტიული პროპაგანდის საკითხებს. მასალებში, რომლებსაც გაზეთი ბეჭდავს, ნაჩვენებია საკითხის მხოლოდ რაოდენობრივი მხარე. ამ მასალებში არავითარი გამოცდილება არ არის გაშუქებული. არც ყვარლის და არც გეგეჭკორის რაიონულ გაზეთებს არ მოუწყვიათ ლექციების შინაარსის ან წრის მუშაობის არსებითი განხილვა.

ხაშურის რაიონულმა გაზეთმა მთელი თვის განმავლობაში ბეჭდა კონსულტაცია ჟურნალ „პარტიული მშენებლობიდან“. ამ მასალის ბეჭდვა ჯერაც არ დამთავრებულა და, როგორც სჩანს, ერთ თვეს კიდევ გაგრძელდება. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ გაზეთს აღარ დარჩა ადგილი პროპაგანდის ორგანიზაციის დადებითი გამოცდილების განზოგადებისათვის.

ზოგ შემთხვევაში რაიონული გაზეთები ვერ ახერხებენ იმ მდიდარი გამოცდილების ჩვენებას, რომელიც დააგროვეს პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდის დარგში, დროზე ვერ ამჩნევენ ნაკლოვანებებს, ვერ წარმართავენ საზოგადოებრივ აზრს იმათ წინააღმდეგ, ვინც უდარდელობას იჩენს თეორიის დაუფლების საქმეში. სიღნაღის რაიონულმა გაზეთმა „კოლმეურნემ“, რომელიც პარტიული პროპაგანდის საკითხებს შედარებით კარგად აშუქებს, 18 ივნისის ნომერში დაბეჭდა კორესპონდენცია თეორიული კონფერენციის შესახებ; ამ კორესპონდენციაში გაზეთი ასეთ რჩევას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს: „...კონფერენციაზე გასაკეთებელი მოხსენებები წინასწარ უნდა იხილებოდეს ლექტორთა სხდომაზე“. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გაზეთი მართალი არ არის.

ზოგი რაიონული გაზეთი ვერ ახერხებს თავის მუშაობაში ჩააბას ფართო აქტივი, თვით პარტიული მუშაკები, პროპაგანდისტები, ლექტორები. იშვიათად თუ შეხვდებით რაიონული გაზეთის ფურცლებზე პროპაგანდისტის მიერ თავისი მუშაობის გამოცდილებაზე მოფიქრებულად დაწერილ წერილს. არც პარტკაბინეტს სწყალობენ ისინი. თუ პარტკაბინეტზე დაიწერა რაიმე, წერილში ნაჩვენები იქნება, რამდენი წიგნი აქვს ან არა აქვს პარტკაბინეტს. ხოლო როგორ იდეურ-თეორიულ მუშაობას ეწევა პარტიული კაბინეტი, როგორ არის იგი დაკავშირებული პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, ამის შესახებ ვერაფერს იპოვით.

პარტია მოითხოვს პარტიული პროპაგანდის ისე დაყენებას, რომ ის მტკიცედ იყოს დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, საერთაშორისო მდგომარეობის ყველა საკითხის სწორ, მეცნიერულ გაშუქებასთან. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებების, ისე როგორც პარტიისა და მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების პოპულარიზაციას ფართო ადგილი უნდა დაეთმოს პრესის ფურცლებზე. გაზეთები ვალდებული არიან გამოამჟღავნონ შრომის დეზორგანიზატორები, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, აღზარდონ მასებში კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი.

გაზეთის მუშაობაში მთავარია პარტიული ხელმძღვანელობა. იქ, სადაც პარტიის რაიონული კომიტეტი კარგად ხელმძღვანელობს თავის გაზეთს, გაზეთიც კარგად მუშაობს და, მაშასადამე, პროპაგანდისტული საკითხებიც უკეთ შუქდება. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ გაზეთებისადმი ხელმძღვანელობა, უნდა იზრუნონ იმისთვისაც, რომ გაზეთის მუშაკები ღრმად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ვინაიდან საქმე ეხება პრესის ფურცლებზე პროპაგანდისტული მუშაობის არსებითად გაშუქებას, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების საფუძვლიანად შესწავლას.

## საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

10 სექტემბერს ბულგარეთის დესპანმა ბ-ნმა სტამენოვმა ინახულა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მოლოტოვი და ბულგარეთის მთავრობის მადლობა გადასცა სსრ კავშირის მთავრობას იმ მორალური დახმარებისათვის, რაც საბჭოთა მთავრობამ ბულგარეთს აღმოუჩინა სამხრეთ დობრუჯის საკითხის გადაჭრაში.

ამხ. მოლოტოვმა კმაყოფილება გამოსთქვა ბ-ნ სტამენოვის განცხადების გამო.

## უდიდესი ინტერესი „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისადმი“

**კაუნასი.** ლიტვის მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისადმი“. კაუნასის საწარმოებში შესდგა მოხსენებანი, რომლებიც მიეძღვნა „პრავდაში“ მოკლე კურსის ბეჭდვის დაწყების ორი წლისთავს. დიდი აუდიტორია შეიკრიბა ფაბრიკა „ტილკის“ კლუბში. მუშებმა და მოსამსახურეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის შესახებ.

ქალაქის ფაბრიკებსა და ქარხნებში ჩატარდა პარტიული უჯრედების კრებები, რომლებიც „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლას მიეძღვნა.

## ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ა. ვ. ტერენტიევი** გაათავისუფლა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან თურქეთში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ს. ა. ვინოგრადოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად თურქეთში.

## ვ. ი. ლენინის ძეგლის აგება ლვოვში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს წინადადება ლვოვში ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების შესახებ.

გადაწყდა ძეგლის საძირკვლის ჩაყრა დაემთხვეს პანების უღლისაგან დასავლეთ უკრაინის მშრომელთა განთავისუფლების წლისთავს — მიმდინარე წლის 17 სექტემბერს. ძეგლის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1942 წელს. (საკდესი).

## ბულგარეთის ფეხბურთელთა ჩამოსვლა

11 სექტემბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის მოწვევით ბულგარეთიდან მოსკოვს ჩამოდის სასპორტო კლუბის „სლავიას“ ფეხბურთელთა გუნდი.

გუნდის შემადგენლობაშია 18 კაცი. გუნდს თან ახლავან ბულგარეთის სასპორტო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე მიხაილოვი, განათლების სამინისტროს მთავარი ინსპექტორი სტოიჩევი და რადევი.

ბულგარეთის გუნდის მოთამაშეთა შორის არიან: მაზნიკოვი, ზაგრაფოვი, რადევი, პეტროვი, სტეფანოვი, სტამბოლიევი, ანგელოვი, ალექსიევი, ნიკოლაევი, ანტონოვი, ნედელკოვი, ბაიკუშევი, დიანოვი, ბელოკაპოვი, ნაუმოვი.

15 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონზე შესდგება მატჩი ამ გუნდსა და სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ მოსკოვის გუნდს შორის. (საკდესი).

## ექსპონატები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულმა საგამოფენო კომიტეტმა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა სულგუნი, რომელიც ბლომად შეიცავს ცხიმს. თვითეული კვერეული, ჩვეულებრივი ½-1 კილოგრამის ნაცვლად 14—16 კილოგრამს იწონის.

გაიგზავნა აგრეთვე ახალი მოსავლის ღვინის პირველი პარტია. (საქდესი).

## საბჭოთა კავშირში

### ლატვიის უნივერსიტეტში

**რიგა.** ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა მისაღები გამოცდები. ყველა ფაკულტეტზე მიღებულ იქნება 1.376 სტუდენტი. მთავრდება მეცადინეობის ახალი გეგმების შემუშავება.

### 28 მილიონი მანეთი ჯანმრთელობის დაცვისათვის

**ბელოსტოკი,** 10 სექტემბერი (საკდესი). სნიადოვსკის რაიონში მთავრდება ახალი რაიონული საავადმყოფოს მოწყობა. ეს მე-51 საავადმყოფოა ბელოსტოკის ოლქში. წლის განმავლობაში საავადმყოფოს საწოლების რიცხვი ოლქში ერთიორად გადიდდა. ბელოსტოკის სავოევოდოში იყო მხოლოდ 53 სასოფლო საექიმო უბანი. ახლა ოლქში არის 105 ასეთი უბანი. შეიქმნა ახალი სამედიცინო დაწესებულებანი. გაიხსნა 4 ტუბდისპანსერი, 59 სამეანო პუნქტი. ექიმების რიცხვი ორნახევარჯერ გადიდდა.

სრული დატვირთვით მუშაობენ: საკავშირო მნიშვნელობის კურორტი დრუსკენიკი, რესპუბლიკური კურორტი ავგუსტოვში, ნერვულ ავადმყოფთა სანატორიუმი სვიატსკში.

მიმდინარე წელს ოლქის მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად 28 მილიონი მანეთი დაიხარჯება. (საკდესი).

## საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს —
## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე
# სტალინს
## სსრ კავშირის სახკომსაბჭოს —
## ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე
# მოლოტოვს

გაცნობებთ, რომ ა. წ. 6 სექტემბერს ვადამდე შესრულდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 28 თებერვლის დადგენილება დიდი პამირის ტრაქტის მშენებლობის შესახებ. მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის, გარმის, სტალინაბადისა და კულიაბის ოლქების 22 ათასმა კოლმეურნემ, ადმინისტრატიულმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა, პოლიტმუშაკებმა, ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის, ხელოვნებისა და მედიცინის მუშაკებმა, ამხანაგ სტალინის სახელით აღფრთოვანებულებმა, განსაკუთრებით მძიმე პირობებში, ციცაბო კლდეებსა და თოვლით დაფარულ მთებს შორის, ამოიღეს რა 5 მილიონ კუბ. მეტრზე მეტი მიწა, აქედან 2½ მილიონი კუბ. მეტრი მხოლოდამხოლოდ კლდოვანი ქანი, გაიყვანეს სტალინაბად - ხოროგის (კაპიტალურად გაკეთებული) საავტომობილო გზა 567 კილომეტრ მანძილზე.

მშენებლობის მონაწილეებმა, რომლებმაც „მსოფლიოს სახურავზე“ დიდი პამირის ტრაქტი გაიყვანეს, გვიჩვენეს გმირობისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშები. ტრაქტი გაყვანილია 5½ თვის განმავლობაში 3.300 მეტრ სიმაღლის მქონე ხაბუ-რაბადის უღელტეხილზე, მდინარე ხინგოუსა და პიანჯის ციცაბო კლდეებზე, დარვაზის ხეობის კარებზე, თავბრუდამხვევ ხევებსა და ფლატეებზე. ამით ლიკვიდირებულია უგზოობა ავტონომიური მთიანი ბადახშანის ოლქსა და გარმის ოლქის მთელ რიგ რაიონებში. ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად.

მოახდინენ რა უგზოობის ლიკვიდაციას, ტაჯიკეთის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით უზრუნველჰყოფენ ტაჯიკეთის საბჭოთა რესპუბლიკის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ აყვავებას.

**ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი**
**დ. პროტოპოპოვი**

**ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე**
**მ. ყურბანოვი**

## ფაბრიკა „ლიუტერის“ პროფკავშირულ კრებაზე

### ამხ. ი. ლაურისტინის გამოსვლა

**ტალინი,** 10 სექტემბერი (საკდესი). საბჭოთა ესტონეთის საწარმოებში დიდი აღფრთოვანებით ტარდება საარჩევნო პროფკავშირული კრებები. ფაბრიკა „ლიუტერის“ მუშათა და მოსამსახურეთა კრებაზე გამოვიდა ესტონეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ლაურისტინი. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახლა ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა ატარებს.

— გავიხსენოთ, — ამბობს ამხ. ლაურისტინი, — რამდენ ლიტონ სიტყვებს ხარჯავდნენ ერთ დროს ნარვის ცნობილ წყალვარდნილზე! და ბოლოს, იქამდე მივიდნენ, რომ ამ ვარდნილიდან წყალი გაუშვეს. ახლა ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა—აღვადგინოთ ნარვის წყალვარდნილი, გამოვიყენოთ იგი და სხვა წყალვარდნილები იმისათვის, რომ იაფი ელექტროენერგია მივაწოდოთ ჩვენს მზარდ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას.

— მთავრობა, — განაცხადა შემდეგ ამხ. ლაურისტინმა, — იხილავს ცემენტის წარმოების გადიდების საკითხს, პეტსერის მხარეში თაბაშირის დამუშავების გაფართოების, კირის წარმოების ერთი-სამად,—ერთი-ოთხად გადიდების, რამდენიმე ახალი აგურის ქარხნის მშენებლობის საკითხს. რესპუბლიკაში სამშენებლო სამუშაოები დღითი-დღე ფართოვდება და სამშენებლო მასალების მოთხოვნილება განუწყვეტლივ იზრდება. განზრახულია ტორფისა და ფიქალის მოპოვების გადიდება.

კრების მონაწილენი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ამხ. ლაურისტინის განცხადებას, რომ სწრაფად იწყო აღორძინება ესტონეთის მრეწველობამ, რომელიც პლუტოკრატულმა ბურჟუაზიულ-მემამულურმა ხროვამ დააქვეითა, რომ დღითი-დღე მატულობს შრომის ნაყოფიერება.

— კრენჰოლმის ფაბრიკა,—სთქვა ამხ. ლაურისტინმა, — უახლოეს დროში გადავა ორცვლად მუშაობაზე, იქ სამუშაოს მიიღებს 1.000-ზე მეტი უმუშევარი ფეიქარი. ტალინის ქარხანა „ვოლტა“ უკვე ორცვლად მუშაობს. ბალტიის ძაფსართავ ფაბრიკაში მიღებულია ბევრი ახალი მუშა. ამუშავებულია სელის სართავი მთელი რიგი ფაბრიკები. გაივლის ცოტა დრო და საბჭოთა ესტონეთში უმუშევრობას სავსებით და სამუდამოდ მოეღება ბოლო!

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ლაურისტინი შეჩერდა პროფკავშირების ამოცანებზე.

— საბჭოთა ესტონეთის საწარმოებში გამეფებულია უმაგალითო აღფრთოვანება, ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება, გამოჩნდა სტახანოვური მოძრაობის პირველი ყლორტები. პროფკავშირთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა, მშრომელთა სულ უფრო-და-უფრო ფართო ფენის ჩაბმა ამ შეჯიბრებაში, ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ჩვენს საწარმოებში, რომლებიც ახლა სოციალისტური სახელმწიფოს კუთვნილება — მთელი ხალხის კუთვნილება გახდნენ.

— ჩვენ, — ამთავრებს ამხ. ლაურისტინი, — გვაქვს ჩვენი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელიც შედგენილია დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. ამ კონსტიტუციის დროშით ესტონეთის მშრომელი ხალხი მტკიცე ნაბიჯით მიდის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ ჩვენი გენიალური მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

ამხ. ლაურისტინის ამ სიტყვებს კრების მონაწილენი ხვდებიან მქუხარე ტაშით და დაუსრულებელი ოვაციით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

## უკანასკნელი ცნობები

## ი ნ გ ლ ი ს - გ ე რ მ ა ნ ი ი ს  ო მ ი

### გერმანიის ცნობები

**ბერლინი,** 11 სექტემბერი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა აქვეყნებს შემდეგს ცნობას: „10 სექტემბერს ღამით მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ჩრდილოეთ საფრანგეთში, ბელგიასა და ჩრდილოეთ გერმანიაში, რასაც მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია. მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა ბერლინში შემოჭრა შესძლო და იქ ყუმბარები ჩამოჰყარა. ქალაქის დასახლებულ და საქმიან უბნებში მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა. დიპლომატიურ უბანში დროებით შესწყდა ქუჩაში მოძრაობა, რადგან მოსალოდნელია სახლების ჩამონგრევა. ერთი ყუმბარა რაიხსტაგის შენობას მოხვდა, მეორე — სამხატვრო აკადემიის შენობას. ხუთი კაცი მოკლულია, რამდენიმე კაცი დაიჭრა.

10 სექტემბრის განმავლობაში გერმანიის ავიაციამ კვლავ დაუშინა ყუმბარა სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაგებობებს ლონდონში. ამის შედეგად მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა. ბომბარდირება განიცადეს აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის სანავსადგურო ნაგებობებმა, აეროდრომებმა და სამრეწველო საწარმოებმა. გერმანიის ყუმბარმშენმა ჩასძირა სავაჭრო გემი 8 ათასი ტონა წყალწყვისა. გერმანიის ავიაციამ სამი თვითმფრინავი დაჰკარგა, ინგლისისამ კი — 6 თვითმფრინავი.

**ბერლინი,** 11 სექტემბერი. გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ბერლინში ჩამოყრილი მრავალი ყუმბარა ქალაქის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში დაეცა. ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ბომბარდირებამ დააზიანა საცხოვრებლები, საზოგადოებრივი შენობები, აგრეთვე დასახლებული უბნები. ხანძარი ყველგან მალე იქნა ლიკვიდირებული. მრავალი სახლის კედლები ძლიერ დაზიანებულია.

9 სექტემბერს ღამით ჰამბურგს მეორედ დაესხა თავს ინგლისის ავიაცია. მტერმა მრავალი ფუგასური ყუმბარა ჩამოჰყარა. ყუმბარების მეტი ნაწილი ქალაქის მუშათა უბანში დაეცა და რამდენიმე სახლი დაანგრია. ცეცხლგამჩენმა ყუმბარებმა ბევრ ადგილას ხანძარი გამოიწვია ქალაქის დასავლეთ გარეუბანში, სამრეწველო საწარმოები და სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა.

როგორც ახლა გამოირკვა, 9 სექტემბერს ლონდონსა და კენტში ბრძოლის დროს ინგლისელებმა დაჰკარგეს 40-ზე მეტი თვითმფრინავი. გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა საზვერავი ფრენა მოაწყეს და ძვირფასი ცნობები შეჰკრიბეს იმ თავდასხმათა შედეგების შესახებ, რაც ინგლისის სამხედრო ობიექტებზე მოეწყო დღემდე. (საკდესი).

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 11 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 10 სექტემბერს ღამით გერმანიის ავიაციამ ახალი თავდასხმა მოაწყო ლონდონზე. ყუმბარები ჩამოჰყარეს ლონდონის მრავალ გარეუბანსა და ახლო მდებარე რაიონში. ხანძარი გაჩნდა სიტიში, აგრეთვე ტემზის გასწვრივ მდებარე საწყობებსა და ფაბრიკებში. რამდენიმედ დაზიანდა ლონდონის სხვა რაიონებიც.

გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს აგრეთვე უელსში, ბრისტოლის ყურის რაიონში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ინგლისში. ზიანი უმნიშვნელოა, მსხვერპლიც დიდი არ არის. გუშინდელი დღის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ გერმანიის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

**ლონდონი,** 11 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 9 სექტემბერს ინგლისის საზღვაო ავიაცია კვლავ დაესხა თავს ნორვეგიის სანაპიროზე მდებარე სამხედრო ობიექტებს. ნორვეგიის სანაპიროს სამ ნავთსაცავთაგან ორი ნავთსაცავი მთლიანად მოსპობილია. ინგლისის თვითმფრინავებმა ჰაუგეზუნდის სრუტეში იერიში მიიტანეს გერმანიის სატრანსპორტო გემზე, რომლის წყალწყვა დაახლოებით 2.500 ტონას უდრის. ბერგენის სამხრეთით ყუმბარა დავაყარეთ გერმანიის ტანკერს, რომლის წყალწყვა დაახლოებით 2.500 ტონას უდრის. ბერგენში ყუმბარა დავაყარეთ სამხედრო ბარაკებს; სამი ბარაკი მთლიანად დანგრეულია. ინგლისის ერთი თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

9 სექტემბერს ღამით ინგლისის ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას სამხედრო ობიექტებზე გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიასა და საფრანგეთში. ბომბარდირება განიცადეს ელექტროსადგურებმა ბერლინში, გემსაკეთებლებმა ბრემენში, კილში, ჰამბურგში, ვილჰელმსჰაფენსა და ვისმარში, აგრეთვე საქონლის საწყობებმა კრეფელდსა და ბრიუსელში. გარდა ამისა, ყუმბარა დავაყარეთ საწარმოებს ესენსა და ბარნსდორფში. იერიში მივიტანეთ ერთ ადგილას თავმოყრილ გემებსა და კარჭაპებზე ოსტენდეს, კალესა და ბულონის ნავსადგურებში და გერმანიის შორსმსროლელი არტილერიის პოზიციებზე გრი ნეს კონცხზე. ინგლისის სამი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

10 სექტემბერს დღისით გერმანიის თვითმფრინავთა უმნიშვნელო რაოდენობამ მცირე მოღრუბლულობით ისარგებლა და ლონდონის რაიონში შემოიჭრა. მათ არცერთი ყუმბარა არ ჩამოუგდიათ.

გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს კენტისა და ესექსის საგრაფოებში. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა გერმანიის ერთი ყუმბარმშენი ჩამოაგდეს.

### იტალიის სარდლობის ცნობა

**რომი,** 11 სექტემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო აქვეყნებს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას: „იტალიის თვითმფრინავები რამდენჯერმე დაესხნენ თავს სოლუმის, სიდი-ბარანისა და მერსა-მატრუხის რაიონებს, სადაც ყუმბარები ჩამოჰყარეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს მტრის ჯარის ავტოკოლონებს. ჩამოგდებულია მტრის ორი ავიაგამანადგურებელი. იტალიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. მტერმა საჰაერო თავდასხმა მოაწყო ბარდიაზე, ტობრუკსა და დერნაზე (ლიბია). ზიანი უმნიშვნელოა. მოკლულია 13 კაცი და დაჭრილია 21 კაცი. ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი.

აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს კასალას. დაჭრილია სამი კაცი. ჩვენმა გამანადგურებელმა ავიაციამ ინგლისის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო“.

## შვეციის სავაჭრო დელეგაციის გამგზავრება

10 სექტემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა შვეციის სავაჭრო დელეგაცია მეურნეობის რეგულირების მინისტრის ბ-ნ გ. ერიქსონის მეთაურობით.

ცენტრალურ აეროპორტში დელეგაცია გააცილეს: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მ. ს. სტეპანოვმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსმა ამხ. დ. დ. მიშუსტინმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა შვეციაში ამხ. მ. ა. ნიკიტინმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. გ. პონტიკოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ი. გ. სისოევმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსმა ამხ. ს. ა. ვშივკოვმა, აგრეთვე შვეციის მისიის შემადგენლობამ დესპანის ბ-ნ ასარსონის მეთაურობით.

## სახელოვანი წლისთავის შესახვედრად

**სხიდნიცა (დროგობიჩის ოლქი),** 10 სექტემბერი (საკდესი). სხიდნიცაში დროგობიჩის ოლქის ყველაზე მოწინავე № 5 ნავთის სარეწაოს მუშები პანების უღლისაგან დასავლეთ უკრაინის განთავისუფლების სახელოვან წლისთავს დიდი წარმატებებით ეგებებიან. ლიკვიდირებულია უმუშევრობა, რომელიც აქ მძვინვარებდა კაპიტალისტების ბატონობის დროს. მუშათა რაოდენობამ, 1939 წლის სექტემბერთან შედარებით, ერთიორად იმატა. სხიდნიცის მენავთეები თვიდან თვემდე სულ უფრო-და-უფრო მეტ ნავთსა და გაზს აძლევენ სოციალისტურ სამშობლოს. მეორე კვარტალში ნავთის ამოღების გეგმა 103 პროცენტით შესრულდა. გადამეტებით შესრულებულია დავალებები ივლისსა და აგვისტოში. ამუშავებულია 20 ახალი ჭაბურღილი, რომლებიც დამატებით ათასობით ტონა ნავთს იძლევიან.

სარეწში ინერგება უფრო სრულყოფილი ტექნიკა. ამჟამად სხიდნიცაში მთელი ნავთის დაახლოებით ნახევარს მარიეტის მეთოდით იღებენ. მატულობს დამკვრელთა რიცხვი. იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. წლის პირველი ნახევრის განმავლობაში სარეწმა დაახლოებით 700 ათასი მანეთის ეკონომიას მიაღწია.

განუწყვეტლივ უმჯობესდება მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მატულობს შემოსავალი. მაგალითად, მოტორისტის საშუალო შემოსავალი იანვარში 358 მანეთს უდრიდა თვეში, ახლა იგი 540 მანეთამდე გაიზარდა. ბევრმა მენავთემ, რომელიც წინათ ქოხმახებში ცხოვრობდა, ნათელი ბინები მიიღო კეთილმოწყობილ სახლებში. ფართოდ არის გზა გახსნილი განათლებისაკენ, კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ. ტექმინიმუმის სკოლებმა უკვე გამოუშვეს 100-მდე მბურღავი, დესტილატორი, მოტორისტი, მენავთეთა ბავშვები დედაენაზე სწავლობენ საბჭოთა სკოლებში.

## დ ა ბ ა  კ ო ლ კ შ ი

**კოლკი** (ვოლინის ოლქი), 10 სექტემბერი (საკდესი). დაბა კოლკის გლეხებს განსაკუთრებით კარგად ახსოვთ პოლონეთის შლიახტის სიმხეცე. 1935 წელს აქ ჟანდარმებმა თოფი დაუშინეს გლეხთა საპირველმაისო დემონსტრაციას.

1939 წლის 20 სექტემბერს, როცა გლეხები წითელი არმიის შესახვედრად ემზადებოდნენ, მწვანით და ყვავილებით ამკობდნენ ტრიუმფალურ თაღს, დაბაში შემოიჭრა პოლონელ ოფიცერთა ბანდა. გამხეცებულმა ჯალათებმა სისხლში ჩაახრჩვეს მშრომელნი, გადასწვეს 28 გლეხის ქოხი, მოჰკლეს 15 გლეხი. კოლკში გაჩნდა შლიახტის მხეცობის მსხვერპლთა ძმათა მეორე სასაფლაო.

წითელმა არმიამ კოლკის მშრომელნი გაათავისუფლა პანების კაბალისა და ჩაგვრისაგან. სწრაფად მიდის წინ ახალი ცხოვრება დაბაში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ერთი წლის განმავლობაში ყოფილი მიყრუებული დაბა, სადაც საავადმყოფოც კი არ მოიპოვებოდა, კულტურულ რაიონულ ცენტრად გადაიქცა. აგებულია ახალი საავადმყოფო, ახალი ელსადგურები, გაიხსნა სანიტარული სადგური, საბავშვო კონსულტაცია. მშრომელებს საშუალება მიეცათ დედაენაზე ასწავლონ ბავშვებს. წლის განმავლობაში ერთი-ორად იმატა მოსწავლეთა რაოდენობამ. გაიხსნა საშუალო უკრაინული სკოლა და დაწყებითი ებრაული სკოლა. ახლა დაბაში არის საბავშვო ბაღი, ბაგები, კლუბი, ბიბლიოთეკა.

კოლკში ენერგიულად ემზადებიან პოლონელთა ჩაგვრისაგან დასავლეთ უკრაინის განთავისუფლების წლისთავისათვის. 60 აგიტატორი უამბობს ხალხს, თუ რა გაკეთდა მათს სამშობლო დაბაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ერთი წლის მანძილზე.

## სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატი

10 სექტემბერს სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ტურნირზე დამთავრდა ჩემპიონატის პირველ ხუთ ტურში გადადებული 22 პარტია.

სსრ კავშირის ჩემპიონმა გროსმაისტერმა ბოტვინიკმა მოუგო უკრაინის ჩემპიონს ბოლესლავსკის და ყაიმით დაამთავრა პარტია სმისლოვსა და დუბინინთან. ამგვარად, ხუთი ტურის შემდეგ ბოტვინიკს 5 შესაძლებლიდან 3 ქულა აქვს.

როსტოველმა სტოლბერგმა 4 ქულა მოაგროვა. 10 სექტემბერს მან მოუგო მაესტრო კონსტანტინოპოლსკის და ლიტვის სს რესპუბლიკის მაესტრო მიკენასს. იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც სტოლბერგს, ბაქოელ მაესტროს მაკოგონოვს. მან 10 სექტემბერს მოუგო ვერესოვსა და რაგოზინს. მაკოგონოვ-პანოვის პარტია, რომელიც მეორე ტურში გადაიდო, ყაიმით დამთავრდა.

როსტოველი ბონდარევსკის პარტია მოსკოველ სმისლოვთან წინადღით ბონდარევსკისათვის თითქმის უიმედო მდგომარეობაში გადაიდო. 10 სექტემბერს მე-73 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

სმისლოვმა დაამარცხა გერსტენფელდი და ყაიმით დაამთავრა პარტია მოსკოვის ჩემპიონ ლილიენტალთან.

გროსმაისტერმა ლევენფიშმა ყაიმი გააკეთა გერსტენფელდთან. ლილიენტალმა დაამარცხა მაესტრო დუბინინი. გროსმაისტერმა კერესმა მოუგო რაგოზინს და წააგო ბელორუსიის ჩემპიონ ვერესოვთან. მაესტრო პეტროვმა ყაიმი გააკეთა მიკენასთან და გამარჯვება მოიპოვა გერსტენფელდის წინააღმდეგ. რუდაკოვსკიმ პარტია წააგო ლენინგრადის ჩემპიონ ლისიცინთან. მიკენასი და დუბინინი ყაიმზე შეთანხმდნენ. კონსტანტინოპოლსკიმ დაამარცხა პანოვი.

გროსმაისტერმა კოტოვმა წააგო ბელორუსიის ჩემპიონ ვერესოვთან და ლენინგრადელ მაესტრო რაგოზინთან.

ამგვარად, ხუთი ტურის შემდეგ ლიდერები არიან: ბონდარევსკი, სტოლბერგი, მაკოგონოვი — სამივეს 5 შესაძლებლიდან ოთხ-ოთხი ქულა აქვს. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩა მოსკოველი ახალგაზრდა მაესტრო სმისლოვი. სამ-სამი ქულა აქვთ ბოტვინიკს, ლილიენტალს, პანოვსა და პეტროვს. ვერესოვმა, დუბინინმა, კერესმა, კონსტანტინოპოლსკიმ, ლისიცინმა, მიკენასმა და რაგოზინმა მოაგროვეს 2,5 ქულა თვითეულმა. ბოლესლავსკის აქვს 2 ქულა, ლევენფიშს ერთნახევარი, რუდაკოვსკის — ერთი ქულა, გერსტენფელდს — ნახევარი ქულა და კოტოვს — 0.

11 სექტემბერი გამოსასვლელი დღეა ტურნირზე. (საკდესი).

## ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

### „საქჩაის“ 10 სექტემბრის ცნობებით

| რაიონები | წლიური გეგმა ტონობით | მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით | სექტემბერში მოკრეფილი ტონობით | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | სექტემბრის გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 1.865 | 1.652,1 | 64,5 | 88,6 | 30,2 |
| ქობულეთი | 8.556 | 7.218,4 | 339,8 | 84,4 | 34,1 |
| გალი | 4.017 | 2.998,4 | 86,5 | 74,6 | 17,6 |
| ოჩამჩირე | 2.344 | 1.666,7 | 33,4 | 71,1 | 12,7 |
| სოხუმი | 50 | 33 | 0,7 | 66 | 12,7 |
| გუდაუთი | 70 | 78,5 | 3,5 | 112,1 | 43,8 |
| მახარაძე | 11.174 | 9.604,7 | 392,9 | 86 | 29 |
| ჩოხატაური | 1.475 | 1.233,5 | 44,1 | 83,6 | 24,9 |
| ლანჩხუთი | 3.660 | 2.995,9 | 110 | 81,9 | 25,1 |
| სამტრედია | 330 | 248 | 9,7 | 75,2 | 24,3 |
| წულუკიძე | 1.755 | 1.560,5 | 23,3 | 88,9 | 11 |
| ქუთაისი | 190 | 184,7 | 3,8 | 97,2 | 16,5 |
| წყალტუბო | 430 | 326,9 | 4,8 | 76 | 9,2 |
| ტყიბული | 620 | 591,7 | 14,6 | 95,4 | 19,7 |
| ცხაკაია | 1.230 | 924,7 | 9,3 | 75,2 | 6,3 |
| გეგეჭკორი | 3.037 | 2.336,5 | 83,5 | 76,9 | 22,9 |
| ზუგდიდი | 5.908 | 4.856,2 | 143,7 | 82,2 | 21,2 |
| წალენჯიხა | 2.072 | 1.472,4 | 38,7 | 71,1 | 16,4 |
| ჩხოროწყუ | 1.820 | 1.338,9 | 34,2 | 73,6 | 15,3 |
| ხობი | 511 | 382,5 | 9,2 | 74,9 | 15,3 |
| **სულ რესპუბლიკაში** | **51.114** | **41.704,2** | **1.450,2** | **81,6** | **23,9** |

○

სექტემბრის პირველ ხუთდღიურში მოიკრიფა 458,2 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში კი — 992 ტონა.

დამზადებული ფოთლიდან პირველი ხარისხის ხვედრითი წონა არის 67,2 პროცენტი, მეორე ხარისხისა — 10,5 და მესამე ხარისხის — 22.3 პროცენტი.

უშაფათის (ცხაკაიას რაიონი) ჩაის ფაბრიკის ცნობები ცხრილში შეტანილია 5 სექტემბრის მდგომარეობით.

10 სექტემბერს საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი იყო 11.000.8 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმის 86,3 პროცენტი. სალიბაურის საბჭოთა მეურნეობას წლიური გეგმა შესრულებული აქვს 94 პროცენტით, ჩაქვის მეურნეობას — 93,9-ით, ოჩხამურისას — 90-ით, წულუკიძის საბჭოთა მეურნეობას — 92.3 პროცენტით. ყველაზე უკან არის კოდორისა და აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობები, სადაც წლიური გეგმის შესრულება 65,1—76,6 პროცენტს არ აღემატება.

# ინგლის-გერმანიის ომი

## საარტილერიო დუელი

**ლონდონი,** 10 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ, საღამოს, ინგლისელებსა და გერმანელებს შორის საარტილერიო დუელი გაიმართა. გერმანიის ბატარეებმა, რომლებიც განლაგებული არიან თეთრ კლდეებზე, გრი ნეს კონცხის მახლობლად, ყუმბარები დაუშინეს კენტის საგრაფოს სანაპიროს, დუვრის რაიონში. ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა, რომელიც ლონდონს ტელეფონით ელაპარაკებოდა დუვრიდან, განაცხადა, რომ მისი გამოანგარიშებით გერმანიის ქვემეხების სროლით გამოწვეულ გაელვებასა და ინგლისის სანაპიროზე ყუმბარების სქდომას შორის 75 წამი გადიოდა. ბათქებს შორის ინტერვალი 2 წუთს გრძელდებოდა. რამდენადმე უფრო გვიან ამოქმედდნენ ინგლისის შორსმსროლელი ქვემეხები, რომლებმაც ყუმბარები დაუშინეს საფრანგეთის სანაპიროს. საარტილერიო დუელი ღამითაც გრძელდებოდა. სროლით გამოწვეული გაელვება და ყუმბარების სქდომა ცას ანათებდა ლა-მანშის ორივე მხარეზე. დუელი დამთავრდა დაახლოებით დილის 2 საათსა და 45 წუთზე გრინვიჩის დროით, როდესაც გერმანიის ქვემეხებმა სროლა შესწყვიტეს.

ოთხი საათის სიჩუმის შემდეგ საარტილერიო დუელი განახლდა დღეს, დილით. საფრანგეთის სანაპიროზე დადგმულმა გერმანიის ბატარეებმა ერთსადაიმავე დროს სამი ქვემეხიდან დაუშინეს დუვრის რაიონს. ინგლისის ბატარეებმა თავის მხრივ სროლითვე უპასუხეს. ორივე მხარის ბატარეებმა მრავალჯერ გაისროლეს.

## გერმანული პრესა ლონდონის ბომბარდირების შესახებ

**ბერლინი,** 10 სექტემბერი (საკდესი). „ლონდონისათვის წარმოებული უდიდესი ბრძოლა“ გრძელდება, სწერს დღეს ყველა გერმანული გაზეთი. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლონდონზე საჰაერო თავდასხმის გაძლიერება გერმანიასა და ინგლისს შორის წარმოებული ომის შემდგომი განვითარების ახალი ფაზაა.

გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ სწერს: „ლონდონს უდიდესი თავდაცვითი და სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მთელი ბრიტანეთის იმპერიისათვის, იგი ინგლისის მეურნეობის ცენტრია. მთელი ინგლისის მუშა-მოსამსახურეთა 20 პროცენტი ამ ქალაქის წარმოება-დაწესებულებებშია თავმოყრილი. ინგლისის სამეურნეო მომარაგების მეოთხედი ლონდონზე გადის. ინგლისის ხორცის საწყობებისა და მაცივართა ნახევარზე მეტი ლონდონის რაიონშია თავმოყრილი. მარტო ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედაქალაქს მთელი ინგლისის მოსახლეობის საკვებით მომარაგებისათვის. ინგლისის იმპორტისა და ექსპორტის მესამედი ლონდონსა და მის ნავსადგურზე მოდის. ლონდონის ოლქში თავმოყრილია ინგლისის მთელი მანქანათმშენებლობის მეოთხედი. აქ კეთდება თვითმფრინავები, სათადარიგო ნაწილები და მოწყობილობა თვითმფრინავთმშენებლობისათვის, საჰაერო ღობურების აეროსტატები, ქვემეხები, განსაკუთრებით საზენიტო არტილერია და სხვ. ლონდონის ოლქში არის ფეთქებად ნივთიერებათა მრავალი ქარხანა, აქ კეთდება აირწინაღები, ყუმბარები და მრავალი სხვა სახის იარაღი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლონდონის ნავსადგურს, რომლის სანაპირო 55 კილომეტრზეა გაჭიმული. ეს მსოფლიოს ყველაზე დიდი ნავსადგურია. ინგლისში კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მთელი იმპორტის 60 პროცენტი ლონდონის ნავსადგურზე მოდის. ლონდონზე მოდის ინგლისის მთელი მატყლის იმპორტის—40 პროცენტი, მთელი ნავთის იმპორტის—31 პროცენტი, პირუტყვის საკვების იმპორტის—30 პროცენტი, მარცვლეულის, ფქვილისა და სხვა პროდუქტების მეოთხედი, ლონდონის რაიონში არის ინგლისის ნავთის ავზების მეოთხედი. აქ არის თავმოყრილი ნავთსაწმენდი ქარხნები. ინგლისის მთელი გზები და მიმოსვლის საშუალებანი დაკავშირებულია ლონდონთან. „თუ ეს ცენტრი დაზიანდა, მთელს ბრიტანეთის იმპერიას დაეტყობა“.

როგორც ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, „ამჟამად ლაპარაკია არა ცალკეულ ოპერაციებზე, არამედ ხანგრძლივ თავდასხმაზე, რომელიც განვითარდება ცუდი ამინდის მიუხედავად. ინგლისის თავდაცვითი ძალები სუსტდებიან. გერმანელთა დაკვირვებით, ინგლისელები ნაკლებად გაწვრთნილ მფრინავებს იყენებენ. ყუმბარმშენთა მფრინავები ავიაგამანადგურებლებზე გადაჰყავთ. აღინიშნება აგრეთვე ინგლისის საფრენოსნო შემადგენლობის ძლიერი დაქანცულობა“. გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ აცხადებს, ინგლისი ამჟამად ისეთ ომს განიცდის, რომელიც მას საუკუნეთა განმავლობაში არ უნახავს. ამ უკანასკნელ კვირაში ლონდონში რეგისტრირებულია 1.666 ხანძარი. ლონდონის მოსახლეობა ამ კვირის განმავლობაში იძულებული იყო 40-ჯერ დამალულიყო თავშესაფარში და იქ ზოგჯერ ცხრა-ცხრა საათობით დარჩენილიყო.

## ამერიკული პრესა ლონდონზე საჰაერო თავდასხმის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ ლონდონზე საჰაერო თავდასხმის დროს გერმანიის თვითმფრინავებმა, უწინარეს ყოვლისა, კავშირგაბმულობის საშუალებებს დაუშინეს ყუმბარები. გერმანიის ავიაციის თავდასხმა 9 საათსა და 4 წუთს გაგრძელდა. თვითმფრინავები მეთოდურად ჩნდებოდნენ ქალაქის თავზე ყოველსაათობით და გაცილებით უფრო მეტი სიმაღლიდან ჰყრიდნენ ყუმბარებს, ვიდრე კვირას. დაზიანებულია მხოლოდ რამდენიმე სამხედრო ობიექტი. საჰაერო თავდაცვას მცირე ეფექტი ჰქონდა და ღამით თითქმის არ შეუწუხებია გერმანიის ყუმბარმშენები, რომელნიც საჰაერო ღობურის აეროსტატებზე მაღლა ფრინავდნენ და ყოველ 10-15 წუთში ორ-ორ ან სამ-სამ ყუმბარას ჰყრიდნენ ერთდროულად. ყველაზე უფრო ძლიერი ბომბარდირება განთიადისას მოხდა. არ დასტურდება ცნობები იმის შესახებ, გერმანელები საჰაერო ტორპედებს ჰყრიან. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გერმანელთა ყუმბარებმა, რომლებიც თვით ლონდონის ცენტრში ჩამოჰყარეს, დიდი ნგრევა გამოიწვიეს, მაგრამ საჰაერო თავდაცვის უდიდესმა და მოულოდნელმა აქტივობამ, რომელიც განთიადისას ამოქმედდა, შესწყვიტა საჰაერო ბომბარდირება. ქალაქის ცენტრში ჰყრიდნენ 800-1000 გირვანქიან ყუმბარებს. ერთ რაიონში 20 სახლის ნანგრევებს ქვეშ 100 კაცი მოჰყვა. მაშველმა რაზმებმა მხოლოდ 20 კაცი გამოიყვანეს ცოცხლივ. თუმცა საჰაერო თავდასხმა ისეთივე ინტენსიურობას აღწევდა, როგორც წინა ორ ღამეს, მაგრამ, როგორც სჩანს, გერმანელებმა მაინც ვერ შესძლეს მთელი დროის განმავლობაში ბომბარდირების ერთნაირი ინტენსიურობა დაეცვათ.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინგლისის მთავრობა იხილავს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ყველა თეატრისა და კინოს დახურვის საკითხს. გუშინდელმა საჰაერო თავდასხმამ ყველაზე დიდ ინტენსიურობას შუაღამისას მიაღწია. იუნაიტედ პრესის სააგენტოს განყოფილების თანამშრომელნი ხშირად სტოვებდნენ სადგომს, ვინაიდან შენობას ზანზარი გაჰქონდა ყუმბარების აფეთქების გამო. იმ შემთხვევისათვის, თუ სადგომი დაინგრეოდა, მომზადებული იყო დეპეშების გადაცემა მიწისქვეშა თავშესაფარიდან. მიუხედავად საჰაერო თავდასხმისა, ბაზარში ბოსტნეულის მიტანა არ შეწყვეტილა მთელი ღამის განმავლობაში, თუმცა საბარგო მანქანები შემოსავლელი გზით მიდიოდნენ, ვინაიდან ქუჩები ნამსხვრევებით იყო სავსე. დღეს, დილით, სამუშაოზე მიმავალი ლონდონელები ხედავდნენ დანგრეულ წყალსადენის მილებს, საიდანაც წყალი იღვრებოდა, გადაბრუნებულ ავტომობილებს, აგრეთვე მინის ნამსხვრევებს პანელებზე. ქალაქის მრავალ რაიონში მიმოსვლა შეწყვეტილია, ვინაიდან ქუჩებში ყუმბარების აფეთქებამ ორმოები გააკეთა, არის აგრეთვე აუფეთქებელი ყუმბარები.

ინგლისის მეთვალყურენი აღიარებენ, რომ ლონდონის დოკებმა შესწყვიტეს მუშაობა. სურსათით დატვირთული გემები ახლა სხვა ნავსადგურებში უნდა გაიგზავნონ, ხოლო ტვირთი ლონდონში რკინიგზითა და საბარგო მანქანებით უნდა შეიტანონ. გერმანიის ავიაციის რამდენიმე შენაერთმა, რომელთაგან თვითეული 30 ყუმბარმშენისაგან შესდგებოდა, ავიაგამანადგურებელთა თანხლებით გუშინ ნასადილევს ყუმბარები დაუშინა ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, წინასწარი დიპლომატიური მოხსენებანი მოწმობენ, რომ გერმანიის საჰაერო ბომბარდირებას, მიუხედავად უდიდესი ნგრევისა ლონდონში, სერიოზული ზარალი არ მიუყენებია ინგლისის საავიაციო მრეწველობისათვის. ინგლისის ცნობები ინგლისის თვითმფრინავთა დანაკლისის შესახებ დაახლოებით ზუსტია, ხოლო ინგლისის ცნობები გერმანიის ავიაციის დანაკლისის შესახებ სავსებით სწორი არ არის.

**ნიუ-იორკი,** 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი მირორის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტები პირსონი და ალენი იუწყებიან, რომ ინგლისის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოტიანი ყოველდღე უგზავნის უშუალოდ რუზველტს მოხსენებებს საჰაერო თავდასხმისა, ზარალისა და მსხვერპლის რაოდენობის შესახებ.

მთელი ეს მასალა მოწმობს, რომ გერმანელებს მთავარი იერიშები მიაქვთ სამრეწველო რაიონზე, ნაოსნობაზე, რკინიგზებზე და ამ იერიშებით გამოწვეული ზარალი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე პრესა იუწყება.

უწესრიგო ბომბარდირება, ეჭვს გარეშეა, მიზნად ისახავს მორალურად გასტეხოს ინგლისელები მანამდე, სანამ დაიწყებოდეს ნამდვილი შესევა ინგლისში. საჰაერო ბომბარდირებით მიყენებული მატერიალური ზარალი ძალიან დიდია, მაგრამ ჯერჯერობით უმთავრესად სამოქალაქო ნაგებობანი დაზიანდნენ. ამასთან მთელი ეს ზარალი თანდათან ასუსტებს ინგლისის საჰაერო თავდაცვას და საჰაერო ძალებს. ინგლისს არა აქვს დრო მოახდინოს თავდაცვის რეორგანიზაცია მანამდე, სანამ შემდეგი თავდასხმა დაიწყებოდეს. ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ ინგლისმა შესძლოს წინააღმდეგობის გაწევა სექტემბრის ბოლომდე, როცა არახელსაყრელი ამინდი დაიწყება.

## ლონდონის ბომბარდირების შედეგები

### ამერიკის კორესპონდენტთა ცნობები

**ნიუ-იორკი,** 11 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, ლონდონი ბომბარდირების შედეგად ძლიერ დაინგრა. დიდი ნგრევა მოხდა ქალაქის საქმიან ნაწილში და სამხედრო ობიექტების მახლობლად მდებარე დასახლებულ რაიონებში.

ეხება რა გერმანიის საჰაერო თავდასხმების ეფექტიანობას, კორესპონდენტი სწერს: „ალბათ, მსოფლიოში არცერთ ქალაქს არ განუცდია იმდენი ტანჯვა, რამდენიც ლონდონმა განიცადა“. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი, რომელიც მოწმე იყო გერმანიის შეტევისა პოლონეთსა და საფრანგეთში, სწერს: „შეუძლებელია პოლონეთისა და საფრანგეთის ქალაქების მცხოვრებთა მიერ გამოვლილი ტანჯვა შევადაროთ ლონდონელების ახლანდელ ტანჯვას“.

კორესპონდენტი აღნიშნავს: თუ პროჟექტორებს გერმანიის ყუმბარმშენები ვერ დაუნახავთ, რომელნიც თითქმის უხილავნი არიან მზიან შუადღისასაც, ავიაგამანადგურებლებს და საზენიტო არტილერიას თითქმის არ ძალუძთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: მრავალი მატარებელი ვნახე, რომელთაც ლონდონიდან ევაკუირებული დიდძალი ქალი და ბავშვი მიჰყავდათ. ლონდონის ირგვლივ ყველა საავტომობილო გზა გაჭედილია მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით, რომლებშიც ლტოლვილები სხედან. ლტოლვილთა შორის მარტო ქალები და ბავშვები არიან.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, ლონდონის მეტრო, ზოგიერთი უბნის გარდა, ნორმალურად მუშაობს. ავტობუსებმა, ტრამვაიმ და ტროლეიბუსებმა მხოლოდ მცირეოდენად შესცვალეს თავიანთი მარშრუტები.

## ინგლისის ტანკერთა ფლოტი

როგორც გაზეთი „ნორდ ჩაინა დეილი ნიუსი“ იუწყება, ომის დაწყებამდე ბრიტანეთის იმპერიას ჰყავდა ტანკერთა ფლოტი 3.250 ათასი რეგისტრული ბრუტო-ტონა. ამჟამად ინგლისის განკარგულებაში დაახლოებით 2 მილიონი ტონა ნორვეგიის ტანკერი, 500 ათას ტონაზე მეტი ჰოლანდიისა და 100 ათასამდე ტონა დანიისა და ბელგიის ტანკერი. თუ გავითვალისწინებთ ტანკერთა ფლოტის დანაკლისს, აგრეთვე ახალ მშენებლობას, ინგლისს თავის განკარგულებაში ჰყავს ტანკერთა ფლოტი, რომელიც დაახლოებით 5800 ათას რეგისტრულ ბრუტო-ტონას შეადგენს.

10 სექტემბერი (საკდესი).

## ამერიკის დახმარება ინგლისს

**ნიუ-იორკი,** 10 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ დევისმა განკარგულება მისცა თავის წარმომადგენლებს ლონდონში დაუყოვნებლივ შეიძინონ 12 სალაშქრო სამზარეულო და მოაწყონ ინგლისის ბომბარდირებული რაიონების მოსახლეობის კვება.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ მაისიდან მოყოლებული ამერიკის წითელმა ჯვარმა ინგლისში გაჰგზავნა 151 სანიტარული მანქანა, 5 მილიონი დოლარის ქირურგიული ხელსაწყო, 2 მილიონზე მეტი დოლარის მედიკამენტები, აგრეთვე დიდძალი სურსათი და ტანსაცმელი.

## კანადის ჯარი ინგლისში

**ლონდონი,** 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი ოტავიდან იუწყება, რომ, კანადის საზღვაო მინისტრ მაკდონალდის განცხადებით, კანადის ჯარი, რომელიც 5 სექტემბერს ინგლისში ჩავიდა, 11.500 კაცს აღწევს. არაოფიციალური ცნობებით, ინგლისში გაგზავნილი მთელი კანადელი ჯარის რიცხვი 46 ათას კაცს აღემატება.

კანადის სამხედრო ზღვარის მინისტრმა გარდინერმა განაცხადა, რომ ამას წინათ ჩატარებული სამხედრო ვალდებულთა რეგისტრაციის მასალის მიხედვით, კანადაში არის მილიონზე მეტი 19-45 წლის ასაკის და 400 ათასამდე 21-27 წლის ასაკის მამაკაცი. თუ ამ რაოდენობის მეოთხედი გამოუსადეგარი იქნება სამხედრო სამსახურისათვის, მომავალი 12 თვის განმავლობაში სამხედრო მომზადება 300 ათასმა კაცმა უნდა გაიაროს.

## დაიღუპა ინგლისის წყალქვეშა ნავი

**ლონდონი,** 10 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საზღვაო სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავი „ფენიქსი“, რომლის შესახებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არავითარი ცნობები არ ყოფილა მიღებული, დაღუპულად ითვლება.

# პარტიული ცხოვრება

# საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

## ლენინის რაიონი

10 სექტემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის IV პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. კუჭავას და ავტოსარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივნის ამხ. მამონტოვის მოხსენებანი პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ. დღის წესრიგის მეორე საკითხზე კი პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. კლემჩენკოს მოხსენება 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციების მიერ პარტიაში მიღებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში სამქროს 23 პირველადი პარტორგანიზაციაა, სადაც პარტიის 722 წევრი და პარტიის წევრობის 148 კანდიდატი ირიცხება. პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს სამგზავრო ვაგონების საამქროს საუკეთესო სტახანოველი ამხ. ფირცხალავა, რომელიც საწარმოო გეგმას 200 პროცენტით ასრულებს. პარტიაში მიღებულია აგრეთვე ცნობილი მექვაბე ამხ. ფილიპჩუკი, რომელიც საწარმოო დავალებას 350 პროცენტით ასრულებს და სხვ.

ქარხანაში არიან პარტიის წევრობის ისეთი კანდიდატები, რომლებიც საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, მაგრამ ცუდად მუშაობენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ქარხანასთან არსებულმა პარტკომმა 6 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ჩაატარა საერთო-საქარხნო თათბირი პარტიის წევრობის კანდიდატებთან. პარტიის წევრობის ყველა კანდიდატს პარტიული დავალება არა აქვს. სუსტია კანდიდატებისადმი დახმარება დავალების შესრულების საქმეშიც, რის შედეგად ისინი სუსტად იზრდებიან. მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატს ამხ. გოჩაშვილს უარი უთხრეს პარტიის წევრად მიღებაზე დავალების შეუსრულებლობისა და პასივობისათვის. ქარხნის პარტკომი რომ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კანდიდატებთან იქიდანაც სჩანს, რომ პარტიის წევრობის 148 კანდიდატიდან საკანდიდატო სტაჟი გადაცილებული აქვს 63 კაცს.

ანალოგიური მდგომარეობაა ავტოსარემონტო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაშიც.

მოხსენებათა გამო კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: ბახტაძემ, ბერიაშვილმა, გოჩაშვილმა, ბარსეგოვმა და სხვებმა აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი და შეიტანეს წინადადებანი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. კლემჩენკომ პლენუმს მოუთხრო, რომ რაიონში 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე პარტიის რიგებში მიღებულია 264 კაცი. აქედან პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია 76. მიღებულ კანდიდატთა შორის 85,5 პროცენტი მუშაა, 35 კაცი წამყვანი პროფესიის მუშა და სხვ. ამხ. კლემჩენკო შეეხო აგრეთვე მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელაღებით იღებდნენ პარტიაში და ცუდად აფორმებდნენ პარტიულ საბუთებს. მაგალითად, კიროვის სახ. დაზგათმშენებელ ქარხნის პარტორგანიზაციამ ერთ სხდომაზე განიხილა 8 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტიულ კომიტეტში ხშირად იხილავდნენ 10-15 და ზოგჯერ 18 განცხადებას.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ტაბატაძემ, დვალმა, ვეკუამ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს მავნე პრაქტიკა, როდესაც ერთ პარტიულ კრებაზე 10-ზე მეტ განცხადებას იხილავენ პარტიაში მიღების შესახებ და შეიტანეს წინადადებანი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ჩუბინიძე, რის შემდეგ პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. კვაჭაძემ. (საქდესი).

## კიროვის რაიონი

10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. რაიონის საწარმოებში 1940 წლის 8 თვის საწარმოო გეგმების შესრულების და 2. 1940 წლის 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე კიროვის რაიონული პარტიული ორგანიზაციის მიერ პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

პირველი საკითხის გამო პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. გალუსტოვი.

ამხ. გალუსტოვის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. შ. ათაბეგოვმა, ი. კუჭუაშვილმა, მ. სტეფანოვმა, ს. პარტოსიანმა, გ. ივანცოვმა, გ. ხოჯაფარუხოვმა, ა. რინენბერგმა, მ. პოლოსოვმა და სხვ.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ამ რაიონის მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს საწარმოო გეგმები. განსაკუთრებით საგრძნობ გარღვევას ჰქონდა ადგილი ივლისსა და აგვისტოში. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ცალკეულმა საწარმოებმა (ტყავის № 1 ქარხანა, ტყავის № 2 ქარხანა, ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკა, ქეჩის ქარხანა, კამოს სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა და სხვ.) ვერ შეასრულეს საწარმოო გეგმა. მაგალითად, ტყავის № 2 ქარხანამ ივნისში გეგმა შეასრულა გადაჭარბებით, ივლისში კი 92 პროცენტით, ხოლო აგვისტოში სამარცხვინოდ ჩამორჩა, გეგმა მხოლოდ 36 პროცენტით შეასრულა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა კიროვის პარტრაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. მ. წერეთელი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 10 ივლისის დადგენილებამდე ზოგიერთ პარტორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტიის რიგების ზრდის საქმეში რაოდენობისადმი გამოდევნებას და პარტიაში შეუმოწმებელი ადამიანების მიღების შემთხვევებს. მაგალითად, ბერიას სახელობის კულტურის სახლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო აკ. ყიფიანი, რომელიც შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულია.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითების შემდეგ პარტიაში მიღების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ბოლშევიკური პარტიის რიგები იზრდება მოწინავე ადამიანების ხარჯზე. მაგალითად, სტალინის სახელობის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის კანდიდატად მიიღო მოწინავე სტახანოველი ქალი ამხ. ე. პრიმუტოვა, რომელიც გეგმებს სისტემატიურად 140-150 პროცენტით ასრულებს, ოლგა ჟოვნერი—ფაბრიკის მოწინავე სტახანოველი და სხვ.

მეორე საკითხის ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დ. მაისურაძემ (კამოს სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივნის მოადგილე), ნ. კაკაურიძემ (საქ. კომ. ბანკის პარტბიუროს მდივანი), ზ. ვარდიაშვილმა (საქტრიკოტაჟის პარტბიუროს მდივანი), დ. შარაძენიძემ (მილიციის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი) და სხვ.

დასასრულს პლენუმმა ორივე საკითხის გარშემო მიიღო სათანადო რეზოლუციები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია.

## მოლოტოვის რაიონი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგა იმავე რაიკომის მორიგი IV პლენუმი, რომელიც გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. გარსევანიძემ.

პლენუმის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1. მოლოტოვის რაიონის სარემონტო კანტორის მიერ კაპიტალური და მიმდინარე რემონტის წლიური გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და 2. ანგარიში 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მოლოტოვის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ლუარსაბოვი. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა კომუნალური მეურნეობის მტკივნეულ საკითხებზე და განსაკუთრებით აღნიშნა ის გარემოება, რომ საბინაო სამმართველოს და სარემონტო კანტორის სუსტი მუშაობის შედეგად საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის წლიური გეგმის შესრულების საქმეში სამარცხვინო ჩამორჩენაა.

მომხსენებელმა აგრეთვე ილაპარაკა იმის შესახებ, რომ თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება გეგმით გათვალისწინებულ სამშენებლო მასალებს დროულად როდი იძლევა, რაც აფერხებს კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულებას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები: მანჯგალაძე, სანიკიძე, კაჭკაჭიშვილი, გაბრიელოვი, ბიჩენკო და გაბედავა აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალური რემონტის შეუსრულებლობა გამოწვეულია იმითაც, რომ სარემონტო კანტორას ნაცვლად 300 მუშა-ხელისა ჰყავს 128, მუშებს შორის სოციალისტური შეჯიბრება სუსტად არის გაშლილი. გარდა ამისა, სახლების შეკეთების ხარჯთაღრიცხვას უმრავლეს შემთხვევებში ზუსტად როდი ადგენენ. ადგილი აქვს მიმდინარე რემონტის გაჭიანურებასაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ის რაც გაკეთებულია (კაპიტალური რემონტი იქნება ეს თუ მიმდინარე), ხშირად ცუდი ხარისხით არის შესრულებული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულება კომუნალური მეურნეობის მშენებლობის მუშაკებსაც შეეხებათ, რომ სხვებთან ერთად ისინიც მკაცრად დაისჯებიან სამუშაოთა ცუდი ხარისხით შესრულებისათვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. შ. სარაულის მოხსენება. ვრცლად შეეხო რა პარტიის რიგების ზრდის საკითხს, ამხ. სარაულმა აღნიშნა, რომ რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად 63 ამხანაგი, ხოლო წევრად — 116.

აღინიშნა ისიც, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 10 ივლისის დადგენილებამდე ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტიის რიგების ზრდის საქმეში რაოდენობის გამოდევნებას (№ 1 „მკერავი“, სახელგამი და სხვ.).

ამხ. შ. სარაულის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: გურგენიძემ, ზაგინოვმა, იაზლოვსკიმ და ჩაჩანიძემ, რომლებმაც აღნიშნეს როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებები პარტიის რიგების ზრდის საქმეში და ყურადღება გაამახვილეს ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდისადმი.

დასასრულ პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია.

## 26 კომისრის სახელობის რაიონი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საწარმოთა არა მარტო დირექტორებს, მთავარ ინჟინრებსა და ტექნიკური კონტროლის მუშაკებს, არამედ პარტორგანიზაციებსაც. ამიტომაც უთუოდ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამა წლის 10 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის IV პლენუმმა დღის წესრიგის პირველ საკითხად დასვა პარტრაიკომის მდივნის ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება რაიონის საწარმოების პროდუქციის ხარისხის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ჩაუდგნენ სათავეში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას, ვერ უზრუნველჰყვეს ყოველდღიური ხელმძღვანელობა და კონტროლი 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა გატარების საქმეში, რის შედეგადაც მთელ რიგ საწარმოებში აღნიშნული ბრძანებულებების განხორციელება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, პურის № 2 ქარხნის, ქაღალდის ფაბრიკის, ტრამვაის პარკის, წისქვილკომბინატის, საკონდიტერო ფაბრიკის და სხვა საწარმოთა პარტორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები: სირაძე (წისქვილკომბინატის დირექტორი), რობაქიძე (ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი), ხუხუნაშვილი (პურის № 2 ქარხნის დირექტორი), დუჩიძე (მარგარინის ქარხნის პარტბიუროს მდივანი), სანაძე (მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის დირექტორი), მაკოევი (ნავთლუღის საგზაო-სარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი), ფილიპოვი (ზეთის ქარხნის დირექტორი) უფრო მეტად ლაპარაკობდნენ გეგმების შესრულების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, ხოლო მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს გაკვრით აღნიშნავდნენ. კამათში გამოსულ რაიპროკურორს ამხ. ცხადაძეს თითქმის არაფერი უთქვამს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამომშვებთა მიმართ რაიპროკურატურის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. ამაზე მას სამართლიანად უსაყვედურა მომხსენებელმაც.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე პარტრაიკომის მდივნის კადრების დარგში ამხ. გოქსაძის მოხსენება — ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების მდგომარეობის შესახებ 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე. — ამ ხნის განმავლობაში, — განაცხადა მომხსენებელმა, — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად რაიკომის მიერ მიღებულია 66 კაცი, წევრად — 180. პარტიაში მიღებისას რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების უმრავლესობა მტკიცედ იცავდა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს, ყოველმხრივ სწავლობდა პარტიაში მისაღებ ამხანაგებს. პარტიული ორგანიზაციების ზრდა ხდება უმთავრესად მუშათა ხარჯზე. პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულთაგან 48 მუშაა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: ფაცაციამ (მილიციის სკოლის პარტბიუროს მდივანი), მღებრიშვილმა (ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), ზაბალოვმა (შინსახკომის სკოლის პარტბიუროს მდივანი), ცეცხლაძემ (მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის პარტბიუროს მდივანი), ზალიევმა (წისქვილკომბინატის პარტბიუროს მდივანი) აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რაიონის პარტორგანიზაციის ზრდა წამყვანი პროფესიების მუშათა ხარჯზე; პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულ 48 მუშიდან წამყვანი პროფესიისაა მხოლოდ 20. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე პარტწევრობის კანდიდატებთან მუშაობა. ამას ისიც მოწმობს, რომ რაიონის პარტორგანიზაციებში ითვლება 523 სტაჟგადაცილებული კანდიდატი. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 10 ივლისის დადგენილება არასწორად გაიგეს სადგურ ნავთლუღის, ტრამვაის პარკის და სხვა პარტორგანიზაციებმა, რომლებმაც ამ დადგენილების შემდეგ თითქმის მთლიანად შესწყვიტეს პარტიაში მიღება.

პლენუმმა ორივე განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუციები.

თბილისის ბამბის ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. ჩილაკოპიანი ესაუბრება კომკავშირის კომიტეტის ახლადარჩეულ წევრებს (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. პ. ვორონოვს, ს. მრევლიშვილს (კომიტეტის მდივანი), ნ. მანჯგალაძეს და ჭ. ვარპინსკაიას.

საქდესის ფოტოქრონიკა.

### „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## „სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის დამრღვევნი“

**გორი** („კომუნისტის“ კორ.). როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის გორის სადგურში ადგილი ჰქონდა სამუშაოს თვითნებურად მიტოვებისა და სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების ფაქტებს (21 აგვისტოს „კომუნისტი“ — „სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის დამრღვევნი“), ხოლო სამუშაოს გამცდენი კომუნისტები და კომკავშირელები დაუსჯელნი იყვნენ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ, საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიურომ სამუშაოს გამცდენი, პარტიის წევრი გ. გაგნიძე გარიცხა პარტიიდან; რკინიგზის ალკკ პირველადმა ორგანიზაციამ კომკავშირიდან გარიცხა სამუშაოს გამცდენი გ. ყაზაროვი.

გორის 1 უბნის სახალხო სასამართლომ მუშათა № 16 სასადილოს შრომის დეზორგანიზატორ მუშაკებს მ. ზეპეტაშვილს და გ. ქასაშვილს ოთხ-ოთხი თვით, გ. ბიბილურს 3 თვით, ხოლო კ. ბრიტუნს 5 თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა ხელფასიდან 25 პროცენტის დაკავებით თვითეულს. სასამართლომ სამუშაოს ბოროტ გამცდენს შ. დუდაშვილს 4 თვით პატიმრობა გადაუწყვიტა.

# „გიორგი სააკაძე" რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსან თეატრში

საქ. სსრ სახალხო არტისტი გ. დავითაშვილი შაჰ-აბასის როლში.

საქ. სსრ სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე გიორგი სააკაძის დედის როლში.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე შადიმან ბარათაშვილის როლში.


სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ხორავა გიორგი სააკაძის როლში.

მსახიობი გ. სალარაძე მეფე ლუარსაბის როლში.

მსახ. ნ. ლაფაჩი თეკლეს როლში.


მსახიობი სტ. ჯაფარიძე კახაბერის როლში.

## შადიმანის სცენიური სახისათვის

რუსთაველის სახელობის თეატრმა სეზონი გახსნა ორდენოსანი დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის ახალი პიესით „გიორგი სააკაძე". ამ სპექტაკლის მომზადებაზე, როგორც ავტორთან მუშაობის, ისე პიესის სცენიური გაფორმების თვალსაზრისით, თეატრის კოლექტივმა ხანგრძლივი და გულმოდგინე შრომა გასწია. ქართველი ხალხის ლეგენდარული გმირის გიორგი სააკაძის სახელი, მისი მღელვარე ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ტრაგიული ბედი სავსებით მართებულად იწვევს საბჭოთა ხალხის უდიდეს ინტერესსა და ყურადღებას. გ. სააკაძე ცნობილია, როგორც სახალხო გმირი, გამჭრიახი პოლიტიკოსი, გამბედავი მეომარი და ნიჭიერი მხედართმთავარი, რომელმაც თავისი ცხოვრება შესწირა ქართველ ფეოდალებთან ბრძოლას და საქართველოს დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოდ გაერთიანებას.

გიორგი სააკაძის უანგარო თავდადება, მისი ღრმა და მგზნებარე პატრიოტიზმი სამაგალითოდ და მისაბაძად რჩება საბჭოთა ხალხისათვის. ეს ძირითადი მომენტი სავსებით სწორად და მკვეთრად აქვს გადმოცემული ავტორს და ამ მხრივ შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე", გარდა თავისი მხატვრული ღირსებისა, იდეურ აღმზრდელობითი მნიშვნელობის ნაწარმოებს წარმოადგენს.

თეატრი შეეცადა მოეცა ჰეროიკული სპექტაკლი, აესახა ქართველი ერის გმირული ბრძოლა გარეშე მტრების ურდოებისა და შინაური ფეოდალების წინააღმდეგ, მოეცა გმირული სახეები ქართველი ერის საუკეთესო შვილებისა, რომლებიც გიორგი სააკაძის მეთაურობით შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამავე დროს სპექტაკლში ასახულია ის რეაქციული ძალები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ წარმატებას, მის არსებობას და დამოუკიდებლობის განმტკიცებას. პიესაში ამ ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგიის გამომხატველია ფლიდი და გაიძვერა კარისკაცი შადიმან ბარათაშვილი. თავისი ხასიათით ამ რთული როლის შესრულება სპექტაკლში მე მომიხდა. ჩემი მიზანი იყო მომეცა არა მხოლოდ ვიწრო პირადული ინტერესებით გამსჭვალული ადამიანის ტიპი, არამედ კონდენსირებული სახე ფეოდალური არისტოკრატიის რეაქციული იდეოლოგიისა XVII საუკუნის საქართველოში.

„გიორგი სააკაძე" ჩვენმა თეატრმა დადგა, როგორც ჰეროიკული ისტორიული დრამა და იგი ვიწრო სამუზეუმო, ან საყოფაცხოვრებო ჩარჩოებში არ მოაქცია, არც მხატვრული გაფორმებისა და არც სპექტაკლის სხვა კომპონენტების მხრით.

**აკაკი ვასაძე**

თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო არტისტი.

## ისტორიული კოლორიტის დაცვით

„გიორგი სააკაძის" მხატვრულად გაფორმებისას მიზნად ვისახავდით პიესის შინაარსის შესაფერი ისტორიული კოლორიტის დაცვას. ჩემს მიერ გაკეთებული დეკორაციები, კოსტუმები და აქსესუარები დამყარებულია საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლაზე.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე ნაგებობათა არქიტექტურას და შევეცადე მეჩვენებინა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები, რაც ჩვენმა ხალხმა შეჰქმნა თავისი არსებობის გრძელ მანძილზე. ჩემი მიზანი არ იყო სამუზეუმო განხრა მიმეცა სპექტაკლის გაფორმებისათვის. დეკორაციები, კოსტუმები, აქსესუარები შევუფარდე სპექტაკლის იდეას, შინაარსს, რომ ხელი შემეწყო დადგმის საერთო მხატვრული მთლიანობისათვის. ამ თვალსაზრისით საჭიროდ მიმაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩერო სცენის ჩარჩოსა და შინა ფარდაზე. ჩარჩო ამძაფრებს ისტორიულ კოლორიტს და თანაც მისი საშუალებით მთელი სპექტაკლი შეკრულია ერთ მთლიან კომპოზიციად. ცისფერი ფარდა ძველი საქართველოს დროშით ანსახიერებს მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივობის იდეას.

ფერების შერჩევაც გარკვეული მოსაზრებით არის მოცემული. მაგალითად, პეიზაჟები (სააკაძის გაქცევა, შეთქმულება და ყორჩი-ხანის დამარცხება) შეგნებულად არის შესრულებული შავი ნათელი ფერადების კონტრასტული შეხამებით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სიუჟეტის მძაფრი და ტრაგიული მომენტების გამოვლინებას. სააკაძის სასახლე ნოსტეში და მეფის სასახლე მოცემულია ნათელ ფერებში, რაც გამოხატავს სააკაძისა და მის თანამებრძოლთა ნათელ ოპტიმისტურ განწყობილებას.

ისტორიული კოლორიტის დაცვა და იმავე დროს სპექტაკლის შემოქმედებითი მიზანდასახულობის გამოვლინება მხატვრობის ხერხებით — ასეთი იყო ჩემი მთავარი მიზანი ამ სპექტაკლზე მუშაობის დროს.

**ირაკლი გამრეკელი**

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## დიდი მოურავი

გიორგი სააკაძე დიდად საინტერესო პიროვნებაა. იგი იყო დიდი გაქანების ადამიანი, სახელმწიფოებრივი მოღვაწე და სარდალი, რომელიც მთელ თავის დიდ ნიჭსა და ზღვა ენერგიას სწირავდა ქართველი ერის აყვავების საქმეს.

სააკაძის თემა დიდიხანია მაინტერესებს. ჯერ კიდევ 1912 წელს, გერმანიაში ყოფნის დროს, მე დავწერე ტრაგედია „უგვირგვინო მეფენი", რომელიც თავის დროზე დაიდგა ქართულ სცენაზე. მაგრამ ეს პიესა მე არ მაკმაყოფილებდა. დავიწყე მასალების შეგროვება, ეპოქის უფრო ღრმად შესწავლა და ამ ხანგრძლივი შრომის შედეგია ჩემი ახალი პიესა „გიორგი სააკაძე", რომელიც წინა სეზონში დაიდგა ქუთაისის თეატრში და რომლითაც წელს სეზონი გახსნა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა.

გიორგი სააკაძეს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი მისი დროის ვითარება. ქართლი და კახეთი ირანის დამოკიდებულებაში იყო. მრისხანე შაჰი აბასი, მოქიშპე თურქეთისა და რუსეთისა, ცდილობდა მთელ საქართველოს ხელში ჩაგდებას. მეორე მხრივ იმავე მიზნებს ისახავდა თურქეთი. ჩრდილოეთიდან კი თანდათან უახლოვდებოდა ჩვენს ქვეყანას გაძლიერებული რუსეთი, რომელიც აგრეთვე ლამობდა საქართველოს დაპყრობას.

დიდი მოურავი მიზნად ისახავდა საქართველოს გადარჩენას ამ მტაცებელთა კლანჭებიდან. იგი გამოსავალს ხედავდა ძლიერი გაერთიანებული საქართველოს შექმნაში. ამის წინააღმდეგნი იყვნენ ბრწყინვალე ფეოდალები, რადგან მეფის ხელისუფლების გაძლიერება მათი უფლებების შეზღუდვას მოასწავებდა. გიორგი ცდილობდა ფეოდალთა დამორჩილებას მეფისადმი, აძლიერებდა გლეხკაცობას და აზნაურებს, ასახლებდა მათ ურჩ ფეოდალთაგან ჩამორთმეულ მიწებზე. ფეოდალებსა და სააკაძის შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა, რის შედეგად ბრწყინვალე წოდებამ შადიმან ბარათაშვილის მეთაურობით შესძლო გიორგის გაძევება საქართველოდან.

12 წელი იღვწოდა გიორგი სააკაძე შაჰ აბასის კარზე. მრავალი გმირობა ჩაიდინა მან იქ და დიდი ომები გადაიხადა, ნიჭიერი მთავარსარდლის სახელი მოიხვეჭა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ბედი მუდამ თვალწინ უდგა დიდ მოურავს. იგი ეძებდა მომენტს, რომ კვლავ დაბრუნებულიყო საქართველოში, ელოდა იმ წამს, როცა ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი, აღსდგებოდა და მოიშორებდა მონობის უღელს. ეს მომენტიც დადგა. გ. სააკაძემ მოხერხებულად გამოიყენა შაჰ აბასის ჯარების გალაშქრება საქართველოს მოსასპობად და გაანადგურა ქართლის გულში ვერაგულად შეჭრილი მტერი.

პიესაზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწია არჩილ მეფის, ი. თბილელის, გორგიჯანიძის, პ. იოსელიანის, მ. ჯანაშვილის, ან. ფურცელაძის ნაშრომების შესწავლამ. დიდად დამეხმარნენ პროფესორები ს. კაკაბაძე და შ. ამირანაშვილი, რომელთა მასალებითაც ვისარგებლე.

რუსთაველის თეატრის კოლექტივმა დიდი გულმოდგინებით იმუშავა ჩემი პიესის დადგმაზე. ჩემის აზრით, თეატრმა ბრწყინვალედ გადასჭრა „გიორგი სააკაძის" სცენაზე განსახიერების რთული ამოცანა.

**სანდრო შანშიაშვილი**

ორდენოსანი დრამატურგი.

## სპექტაკლის მუსიკა

„გიორგი სააკაძისათვის" მუსიკაზე მუშაობა ჩემთვის მეტად საინტერესო იყო. უპირველეს ყოვლისა ჩემს მიზანს შეადგენდა პიესის არა მხოლოდ ილუსტრირება მუსიკით, არამედ მისი გმირების მოქმედების, მათი შინაგანი ბუნების, მოცემული სახეების მუსიკალურად გახსნა.

პიესა იწყება მუსიკალური პროლოგით — ხორალით, რომელიც დაწერილია შოთას გენიალურ სიტყვებზე: „ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ", რომელსაც მღერის შინაური და გარეშე მტრებისაგან აწიოკებული, ქართველი ხალხი. ამ მუსიკაში შევეცადე მომეცა ქართველი ხალხის მაშინდელი სულიერი განწყობილება, მისი გმინვა, მისი მაღალი პატრიოტული სული, რომელიც ვერ ჩაჰკლა ვერც შინაურმა და ვერც გარეშე მტერმა და რომელმაც იფეთქა ქართველი ხალხის შვილის — გიორგი სააკაძის წინამძღოლობით. პროლოგი თავდება გმირული მოწოდებით: „ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსა". ხორალი აგებულია მთლიანად ხალხურ ქართლ-კახურ ინტონაციებზე. პროლოგი იძლევა გასაღებს პიესის იდეური შინაარსის გასაგებად და ლეიტმოტივად მისდევს პიესის მთელ სიუჟეტურ განვითარებას.

გარდა ამისა, ჩემი მიზანი იყო დამეწერა ხალხისათვის უაღრესად გასაგები მუსიკა, გამემსჭვალა იგი ხალხური სულით, მისი ინტონაციებით, რადგან პიესაში მთავარი მამოქმედებელი ძალა ხალხია, რომელსაც ხელმძღვანელობს გიორგი სააკაძე.

გიორგის ის სულიერი განწყობილება, რომელსაც იგი განიცდის საყვარელი შვილის პაატას მიღების დროს, უნდა გააღრმაოს მუსიკამ. ამ ადგილას მე შევეცადე მუსიკალური ხერხების საშუალებით შემეწყო ხელი მსახიობისათვის იმისი პირადი დრამის გადმოსაცემად.

რამდენად შევძელი ყველაფერი ეს, ამას მაყურებელი იტყვის, ხოლო მე მინდა ვთქვა, რომ ამ პიესაზე მუშაობამ ჩემში დიდი სურვილი აღძრა ამ სიუჟეტის შემდგომი მუსიკალურად გაღრმავების და გაფართოვების მიზნით დავწერო ოპერა „გიორგი სააკაძე", რომელსაც უკვე შევუდექი.

**კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე**

## ჩემი სააკაძე

გიორგი სააკაძის განსახიერება სცენაზე მეტად რთული ამოცანაა. საქმე ისაა, რომ XVII საუკუნე და გიორგი სააკაძის მოღვაწეობის პერიოდი საკმაოდ შესწავლილი არ არის. ჩვენი ისტორიკოს-მკვლევარები სხვადასხვა აზრს გამოსთქვამენ საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიული პერიოდის შესახებ. დიდი მოურავის მოქმედებაში უთუოდ იყო უარყოფითი მხარეებიც. მსახიობისათვის ჯერჯერობით მიუღწეველი ამოცანაა ისეთი სააკაძის შექმნა, როგორიც ის სინამდვილეში იყო.

როგორია ის სააკაძე, რომლის განსახიერება მე დამევალა ამ სპექტაკლში?

სააკაძის როლზე მუშაობისას მე გამოვდიოდი იმ ლიტერატურული მასალიდან, რომელიც ს. შანშიაშვილის პიესაშია. დიდი მოურავი ხალხის თვალში დარჩა, როგორც დიდი სახალხო გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული. შესაძლოა გაერთიანებული, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში იგი იძულებული იყო ბევრი რამ ჩაედინა ისეთი, რაც დღეს ჩვენი თვალსაზრისით მიუღებელია. მაგრამ, როცა ასეთ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს ვაფასებთ, მხედველობაში ვიღებთ მთლიან მის კონცეპციას. უარყოფითი მხარეები ხალხმაც დაივიწყა და სააკაძე შარავანდედით შემოსა.

ჩემი სააკაძეც ასე მაქვს წარმოდგენილი. იგი მთელ თავის პირად კეთილდღეობას სწირავს ქართველი ერის ნაციონალურ ინტერესებს. მაგრამ რა ზომებსაც არ უნდა მიმართოს გიორგიმ, იგი, როგორც რაინდი, მუდამ კეთილშობილია. აქედან გამომდინარეობს ჩემს მიერ განსახიერებული სააკაძის თავდაჭერა, დიდი მოთმინება, გაბედული გეგმების შედგენა და უდიდესი კონსპირაციით, დიდი რისკით მათი განხორციელება.

დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ქართველი ერის ნაციონალური ინტერესები თავისი ეპოქისათვის სწორად აქვს წარმოდგენილი, ნიჭიერი სარდალი, თავდადებული, გაბედული მებრძოლი, კეთილშობილი რაინდი, საუკეთესო მეგობარი, ამხანაგი, მოსიყვარულე მამა—ასეთია გიორგი სააკაძე ჩვენს სპექტაკლში.

**აკაკი ხორავა**

სსრკ სახალხო არტისტი.

## ჰეროიკული სპექტაკლი

ჩემს მუშაობაში „გიორგი სააკაძე" წარმოადგენს ერთერთ რთულსა და პასუხსაგებ დადგმას. ჩვენი მიზანი იყო, რომ პიესაში მოცემული ისტორიული ეპოქის ასახვით, მომქმედი პერსონაჟების გმირული სახეების გამოკვეთით და პიესის ძირითადი იდეური ტენდენციისათვის ხაზის გასმით შეგვექმნა აქტუალური, საბჭოთა მაყურებლისათვის ახლობელი და გასაგები სპექტაკლი.

სააკაძე თავისი ეპოქისათვის უაღრესად პროგრესიული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო. იგი თავის გარშემო აერთიანებდა XVII საუკუნის საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივ ფენებს. იგი გამოხატავდა ქართველი ერის ფართო მასების იდეალებს და პოლიტიკურ მისწრაფებებს. თავის პიროვნებაში უსაზღვრო პირად ვაჟკაცობასთან ერთად იგი აერთებდა ნიჭიერი პოლიტიკოსისა და დიდი სამხედრო სტრატეგის თვისებებს. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა შთაგონებული იყო ქართველი ერისადმი სიყვარულით. ეს მომენტი უდიდეს ინტერესს იწვევს მისი პიროვნებისადმი საბჭოთა საზოგადოებრივობის მხრივ.

თეატრის მთელმა კოლექტივმა დამდგმელ ჯგუფთან ერთად დიდი შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა იდეურად და მხატვრულად სრულქმნილი სპექტაკლისათვის. როგორც დამდგმელმა, მე ვეცადე, რათა მთელი ანსამბლი პერსონაჟებისა და აგრეთვე სცენიური გაფორმების მატერიალური აქსესუარები გამიზნული ყოფილიყო პიესის იდეური მხარის მკვეთრი გამოჩენისათვის და ეს ჰეროიკული სპექტაკლი გამეხსნა რეალისტურ სახეებში.



აღსანიშნავია მხატვარ ირ. გამრეკელის მუშაობა, რომელმაც თავის დეკორაციებსა და კოსტუმებში ჩვეული ოსტატობით აღადგინა ისტორიული ეპოქის კოლორიტი და ამით ხელი შეუწყო სპექტაკლის წარმატებას. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორმა რ. გაბიჩვაძემ სპექტაკლისათვის შეჰქმნა გმირული პათოსით და ამავე დროს ღრმა ლირიზმით აღსავსე მუსიკა, რითაც ხელი შეუწყო პიესის გმირთა ფსიქიკის გახსნას.

ასეთი იყო ჩვენი მიზანდასახულობა. რამდენად შევძელით ამის განხორციელება, ამას გვიჩვენებს საბჭოთა მაყურებლის დამოკიდებულება სპექტაკლისადმი.

**ქუქური პატარიძე**

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



„გიორგი სააკაძე" რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში. სურათზე: მეორე მოქმედების დეკორაცია— ლუარსაბ მეფის სასახლის დარბაზი.

## „გიორგი სააკაძე"

### რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის პრემიერა

მე-17 საუკუნე ცნობილია, როგორც შავბნელი პერიოდი საქართველოს ისტორიისა. სამ სამეფოდ და მრავალ სამთავროდ დანაწილებული, მტრებით გარშემორტყმული ჩვენი ქვეყანა მუსლიმანთა დაუსრულებელი რბევის ასპარეზად გადაიქცა. ამ ფონზე ლეგენდარული ბუმბერაზივით მოსჩანს დიდი მოურავის, მაშინდელ აღმოსავლეთსა და ევროპაში კარგად ცნობილი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ფიგურა. უხვად დაჯილდოებული ბუნებრივი ნიჭით, დიდი ნებისყოფის მქონე რაინდი, ქართველი ერისათვის თავდადებული გიორგი სააკაძე ხალხის საყვარელი გმირია. დრამატიზმით სავსე მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მრავალი ომის სასახელოდ გადახდა და უძლევი რაინდის შარავანდედი მუდამ იზიდავდა მხატვრული ლიტერატურის ოსტატებს. მისი ტრაგიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა სცადეს ა. ფურცელაძემ, ვ. ბარნოვმა, ს. შანშიაშვილმა, ს. ქვარიანმა, ა. ანტონოვსკაიამ, ი. ვაკელმა, უ. ჩხეიძემ. ჩვენ არ შევუდგებით ყველა ამ ავტორთა ცდის შედეგების განხილვას. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ს. შანშიაშვილის ახალი პიესა „გიორგი სააკაძე" და მისი დადგმა რუსთაველის თეატრში.

სანამ პიესის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავერკვეთ, რას წარმოადგენდა გიორგი სააკაძე, რისთვის იბრძოდა იგი და რა მეთოდებით.

დაქუცმაცებულ, მტრის სათარეშოდ გადაქცეულ საქართველოს შავბნელ დღეებს ყველაზე ძლიერად დაბალი ფენები —გლეხობა და წვრილი აზნაურობა განიცდიდა. შემოსეულ მტრებს ფეოდალები ურიგდებოდნენ სარწმუნოების გამოცვლით, ისინი ადვილად აცილებდნენ მტრის რისხვას თავიანთ სასახლეებს და ურდოები ელეტდნენ ხალხს, ანადგურებდნენ სოფლის მეურნეობას, ძარცვავდნენ სოვდაგრებსა და ხელოსნებს. ამიტომ ამ დაბალ ფენებში, რომელშიაც კიდევ ცოცხლობდა თამარ მეფის დროინდელი ძლიერი საქართველოს მოგონება, ძლიერდებოდა დაქუცმაცებული სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანების, მოღალატე, მტარვალ ფეოდალების ალაგმვის, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია. აი ამ იდეის გამომხატველი იყო აზნაურების წრიდან გამოსული გიორგი სააკაძე.

მაგრამ მეთორმეტე საუკუნის შემდეგ საერთაშორისო ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. ჩრდილოეთში გაძლიერდა უზარმაზარი რუსეთი, რომელიც დინჯად, მტკიცედ მოიწევდა სამხრეთისაკენ. მეორე მხრით ჩვენს ქვეყანას ესაზღვრებოდნენ ძლიერი ირანი და თურქეთი. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა თავისებური იყო. იგი მდებარეობდა აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მიჯნაზე, მის ტერიტორიაზე მიდიოდა დიდი სავაჭრო გზები. დარიალის კარები ქართველების ხელში იყო. რუსეთი ამ კარების გაღებაზე ოცნებობდა, რომ გზა გაეკაფა სამხრეთისაკენ. ირანი ამ კარების გადარაზვას ფიქრობდა, რომ დიდი რუსეთი კავკასიონის ქედს იქით მოემწყვდია, პატარა საქართველო ამ ბუმბერაზთა შორის დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა. საქართველოს უნდა აერჩია რომელიმე დიდი ხალხის მეგობრობა, მფარველობა. სხვა გამოსავალი არ იყო. ეს დებულება შემდგომში სავსებით გაამართლა ისტორიამ.

აი ეს ისტორიული აუცილებლობა ვერ გასჭვრიტა გიორგი სააკაძემ. აღმოსავლურ პოლიტიკაზე, საიდუმლო დიპლომატიაზე, შეთქმულებათა მეთოდზე აღზრდილმა სააკაძემ ბევრი შეცდომა დაუშვა. უდავოა, მას ამოქმედებდა უანგარო სიყვარული ქართველი ერისა, მისი მიზანი იყო არა პირადი კეთილდღეობა,—ამის მიღწევა ადვილი იყო ფეოდალების ნაცად გზაზე დადგომით,—მას გულწრფელად სურდა საქართველოს გაძლიერება, სახელმწიფოებრივი მმართველობის შეცვლა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება ქართველი ერის საკეთილდღეოდ. ამისათვის იგი ცდილობდა გამოეყენებინა გარეშე მტრების ქიშპობა ურთიერთშორის. ფეოდალების მიერ გაძევებულმა გიორგიმ ირანელთა ჯარი შემოიყვანა საქართველოში. შაჰ-აბასი სააკაძის მეოხებით ცდილობდა თურქოფილი ფეოდალების ალაგმვას. სააკაძე შაჰის ჯარების საშუალებით ცდილობდა თავის მოწინააღმდეგე ფეოდალთა განადგურებას. მაგრამ ფეოდალებმა მალე იპოვეს საერთო ენა შაჰთან და ირანელთა ჯარები კვლავ ხალხს არბევდნენ. ეს იყო ტრაგედია სააკაძისა. მაშინ გადაუდგა იგი შაჰს და მოხერხებულად გასწყვიტა ირანის ლაშქარი.

თავის ბრძოლაში ფეოდალების წინააღმდეგ სააკაძე ეყრდნობოდა აზნაურთა წოდებას და გლეხობას. აქედან წარმოსდგებოდა მისი ზრუნვა დაბალი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ამ ზრუნვაზე აღმოცენებული ხალხის ნდობა. გიორგი სააკაძე ერთობ რთული ხასიათია. იგი მკვეთრად გამოხატული სახეა თავისი ეპოქისა. მისი სახელმწიფოებრივი მრწამსი პროგრესიულია, მისწრაფებანი კეთილშობილური, ბრძოლის მეთოდები — აღმოსავლური. ისტორიული ვითარება, რომელშიაც მას უხდებოდა მოღვაწეობა, ობიექტურად განსაზღვრავდა მის ტრაგედიას. ჩვენთვის გიორგი სააკაძე საინტერესო და საყვარელი გმირია. მიუხედავად შეცდომებისა, მას, როგორც სამშობლოსათვის თავდადებულს, ხალხი დიდ პატივს სცემს.

აი ასეთი უნდა იყოს გიორგი სააკაძის სახე პიესაში. დრამატურგმა დამაჯერებლად უნდა გვიჩვენოს სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, გვიჩვენოს მისი გულწრფელობა, რაინდობა, სამშობლოსათვის თავდადება და ის ვითარება, რომელმაც ამ გმირის ცხოვრება ტრაგედიად აქცია. სავსებით მართებულად იყო აღნიშნული მწერალთა კავშირში ამ თემაზე გამართულ დისკუსიაზე, რომ გამოქვეყნებული პიესებიდან ვერცერთმა ვერ გადასჭრა სრულქმნილად ეს საკითხი. ს. შანშიაშვილის პიესის დადგმამ რუსთაველის თეატრში ეს აზრი ერთხელ კიდევ დაადასტურა.

ს. შანშიაშვილის პიესა სააკაძის ცხოვრების საინტერესო პერიოდს ასახავს: სპარსეთში გაქცევის წინა პერიოდი, გაქცევა და დაბრუნება. სააკაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, მისი იდეები და მისწრაფებანი, რამაც ასე გაამწვავა ფეოდალებთან ბრძოლა, არ არის პიესაში სრულქმნილად მოცემული. მკვეთრად არ არის მოხაზული ის სოციალური ნიადაგიც, რომელზედაც სწარმოებს ბრძოლა მაღალი არისტოკრატიის (შადიმან ბარათაშვილი) და მდაბიო-აზნაურთა შორის და წინა პლანზე წამოწეულია სასახლის ინტრიგები, რაც ჩრდილს აყენებს გიორგი სააკაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ჩვენებას. სააკაძის გაიდეალების ცდები, რაც პიესას ემჩნევა, ასუსტებს ხასიათს და სქემატურობის დაღს ასვამს ამ რთულ სახეს.

პიესაში არის მთელი რიგი ეფექტური, ამაღელვებელი ადგილები. ასეთია, მაგალითად, თურქეთის შემოსევის ამბის გაგებისას ფეოდალთა სიმხდალე და სააკაძის წინდახედულება და თავდაცვის სწრაფი მომზადების, სააკაძის თავადებთან შეტაკების და სხვ. სცენები. იმავე დროს ადგილი აქვს ისტორიული ფაქტების არევას (პაატას თავის მოკვეთა ყორჩი-ხანის დამარცხებამდე), რასაც მოქმედების განვითარებისა და ხასიათების გამოვლინებისათვის ზიანი მოაქვს. მოხერხებულად არის გაკეთებული ეფექტიანი ადგილები — შეთქმულება გიორგის სიცოცხლეზე, გიორგის გაქცევა და ყორჩი-ხანის დამარცხება.

მიუხედავად პიესის საერთო მოწონებისა, „გიორგი სააკაძის" დადგმისას რუსთაველის თეატრს მაინც ისეთ ლიტერატურულ-დრამატურგიულ მასალაზე მოუხდა მუშაობა, რომელიც არ იძლეოდა გიორგი სააკაძისა და მისი ეპოქის სრულქმნილად გადმოცემის საშუალებას. აქედან უნდა გამოვიდეთ საერთოდ სპექტაკლისა და ცალკეულ მსახიობთა ნაშრომის შეფასებისას.

პიესის ერთგვარმა სქემატურობამ გავლენა მოახდინა სპექტაკლზეც. ამით აიხსნება დამდგმელის ყურადღების გაძლიერება გარეგან ეფექტებზე. რეჟისორულად კარგად არის სპექტაკლი გააზრებული. მართალია, მას ერთგვარი ოპერულობა ახასიათებს, მაგრამ იმავე დროს ეს ოპერულობა სპექტაკლს აძლევს ამაღლებულ, საზეიმო ტონს. რეჟისორი ქ. პატარიძე, მხატვარი ი. გამრეკელი, კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე ჰქმნიან მე-17 საუკუნის საქართველოს ცხოვრების დასამახსოვრებელ სურათებს. ისტორიული კოლორიტი კარგად არის დაცული. მოსაწონია, რომ სპექტაკლის ავტორებმა არ მისდიეს სამუზეუმო სიზუსტეს, არამედ სპექტაკლი გაშალეს საერთოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის განზოგადების გზით. კარგად არის მოფიქრებული ნოსტეს და მეფის სასახლე (მეფის ტახტის აივანთან მოთავსებას სცენის პირობითობით ვხსნით), პეიზაჟები. მხატვრული გაფორმება, საერთოდ დადგმის სტილი ჰეროიკულია, მაგრამ ეს ჰეროიკულობა კარგად არის შეფარდებული რეალიზმთან. მასობრივი სცენები დიდი მოსაზრებითაა გაკეთებული. კარგია, რომ ბატალური სცენები მოკლეა. სააკაძისა და ყორჩი-ხანის შერკინება მოხერხებულადაა გაკეთებული. მუსიკა, აგებული ქართლ-კახურ ხალხურ ინტონაციებზე, ორგანიულად არის ჩაქსოვილი სპექტაკლში და დიდად უწყობს ხელს განწყობილების შექმნას.

თეატრის კოლექტივმა გვიჩვენა ძლიერი ანსამბლი, შეწყობილი შესრულება.

სააკაძის რთულ როლს ა. ხორავა ასრულებს. სააკაძისათვის ა. ხორავას აქვს ყველა მონაცემი. მან უთუოდ მოგვცა სახალხო გმირის დასამახსოვრებელი სახე. მართალია, სააკაძე პიესაში ერთობ ძუნწად გვხვდება მეგობრებთან, ოჯახში, მაგრამ ა. ხორავამ მაინც შესძლო და გვიჩვენა დიდი მოურავი, როგორც ვაჟკაცი, გამჭრიახი სარდალი, მოყვარული შვილი და მამა, სამშობლოსათვის თავდადებული. მთელ რიგ ადგილებში (თურქებზე გალაშქრება, გაქცევა, პაატას მოკვეთილი თავის მიღება, ყორჩიხანთან შერკინება, ფეოდალებთან შეჯახება) იგი აღწევდა აქტიორული შესრულების სიმაღლეებს, იპყრობდა დარბაზს.

აკაკი ვასაძე ფლიდსა და გაიძვერა კარისკაცს შადიმან ბარათაშვილს ანსახიერებდა. ფლიდების ბუნება კარგად აქვს შესწავლილი მსახიობს. ამის დამადასტურებელია ა. ვასაძის ასეთი მაღალი ოსტატობით განსახიერებული იაგო. თუმცა სინამდვილეში შადიმანი იაგოს არ ჩამოუვარდებოდა გაიძვერობაში, მაგრამ სარეცენზიო პიესაში იგი შედარებით შეზღუდულია. ა. ვასაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მაყურებლისათვის ეჩვენებინა ფლიდი ვეზირი, თავისი წოდების ტიპიური წარმომადგენელი, აღმოსავლურ დიპლომატიაში გამობრძმედილი პოლიტიკოსი, რაც მან დიდი დამაჯერებლობით გადმოგვცა.

ქართლის მეფის ლუარსაბ მეორის საინტერესო სახე მოგვცა გ. სალარაძემ. ჩვენს წინ დგას ადამიანი, რომელიც თავის თავს „მეფეთა მეფეს" უწოდებს, სინამდვილეში ფეოდალთა სათამაშო ტიკინაა, იცის ეს, მაგრამ ვერ ერკვევა შეთქმულების ხლართებში და ფეოდალთა დიდი თამაშის მსხვერპლი ხდება.

გიორგის დედა თამარი იმ ქართველი დედის ტიპიური სახეა, რომელიც მამულიშვილებს უზრდიდა სამშობლოს. უბედურებამ ვერ გასტეხა შიოშას ქვრივი. იგი მედგრად დგას თავისი ქვეყნის სადარაჯოზე. ნ. ჩხეიძემ ამ სიმპატიური მოხუცის საყვარელი, სათნო სახე შეჰქმნა.

გიორგის და თეკლე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პირადი ბედნიერება გარეშე ძალთა თამაშის მსხვერპლი ხდება. ნ. ლაფაჩმა თეკლეს როლი თავიდანვე კარგად წაიყვანა. ქვეყნის ინტერესებისათვის თავისი პირადი სურვილების დამორჩილების სცენა მსახიობმა კარგად ჩაატარა. კარგი იყო იგი შემდეგ სცენებშიც. ოღონდ უკანასკნელად მეფესთან განშორების ტრაგიკულ მომენტში მსახიობს არ ეყო შემოქმედებითი ცეცხლი და ეს სცენა შედარებით მკრთალად ჩაატარა.

ფ. ჰანტურია პაატას როლს თამაშობს. პირველ მოქმედებაში ნოსტეში იგი თავის ადგილას დგას, ოღონდ ხანდახან მისი გადამეტებული ბავშვური სიხალისე ხელოვნურად მოფიქრებულის შთაბეჭდილებას ჰქმნის. მეოთხე მოქმედებაში ფ. ჰანტურია—პაატა უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. 12 წელი გავიდა გიორგის გაქცევის შემდეგ. პაატა უკვე ვაჟკაცია, მამის ღირსეული შვილი. ფ. ჰანტურიას პაატა კი ისევ ბავშვია. ულვაშები და ბაკები საქმეს ვერ შველის. სპექტაკლი დიდად მოიგებს, თუ მე-4 მოქმედებაში პაატას როლში მსახიობი გამოიცვლება.

ზურაბ ერისთავი საერთოდ პიესაში ეპიზოდურად არის მოცემული. ალ. აფხაიძეს ეს როლი კარგად მიჰყავს, მეხუთე მოქმედების პირველი სურათის გამოკლებით. დაუსრულებელი ბორგვა შეთქმულების გამო მოსაწყენი ხდება, განსაკუთრებით სააკაძის რეპლიკის შემდეგ — გუშინ რომ მოვილაპარაკეთ, ახლა რაღას ბორგავო. ამ ადგილს უსათუოდ გადაკეთება სჭირდება.

ს. ჯაფარიძეს (კახაბერი), ე. აფხაიძეს (დათო) და დ. ხუციშვილს (პაპუნა) კარგად მიჰყავთ სააკაძის ერთგულ მებრძოლთა როლები. ეს ის ძალაა, რომელსაც ეყრდნობოდა მოურავი. დათა მოძრავია, სიცოცხლით სავსე, მოხერხებული, ენამოსწრებული, პაპუნაც ასეთი უნდა იყოს, მაგრამ დ. ხუციშვილის განსახიერებით იგი ხშირად მოუქნელის შთაბეჭდილებას სტოვებს.

მრისხანე და გაიძვერა შაჰ-აბასის სწორ სცენიურ სახეს იძლევა გ. დავითაშვილი, მ. ჩიხლაძის ყორჩი-ხანიც უთუოდ კოლორიტული ფიგურაა. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე მსახიობების თ. ბაქრაძის (დედოფალი კახეთისა), ლ. ვაჩნაძის (გიორგის მეუღლე), შ. აბესაძის (მუხრან ბატონი), ნ. კრავეიშვილის (ქვათახეველი), ბ. წულაძის (ამილახვარი), ვლ. ადამიძის (გორგაჯანიძე), გ. ბეჟუაშვილის (გორჯასპი), გ. სარჩიმელიძის (რუსთა ელჩი) და სხვათა სავსებით დამაკმაყოფილებელი თამაში.

მთლიანად სპექტაკლი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაყურებელი გულთბილად იღებს მას. მოქმედების დროს ხშირად ისმის ტაში. სარეცენზიო სპექტაკლი თეატრის თვალსაჩინო მიღწევაა.

**ზრ. ნუცუბიძე**
**ბ. აბულაძე**

# ომი აფრიკაში

**ლონდონი,** 10 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მასაუას (ერიტრეა). ბომბარდირების შედეგად ორ ადგილას ხანძარი გაჩნდა და დაზიანდა შენობები.

7 სექტემბერს სამხრეთ-აფრიკის ავიაცია თავს დაესხა მოგადიშოს (იტალიის სომალი), სადაც ყუმბარები დაუშინა მტრის შეჯგუფებულ მოტოტრანსპორტს. განადგურებულია ორი და დაზიანებულია ოთხი თვითმფრინავი.

7 სექტემბერს მალტაზე მტრის ავიაციის თავდასხმის დროს იტალიის ერთი თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ, მეორე სერიოზულად დავაზიანეთ.

## სამხარი მოქმედების ასპარეზი აფრიკაში

**ბერლინი,** 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „მიუნხენერ ნოისტე ნახრიხტენი" სწერს, რომ აფრიკის სამხარი მოქმედების ასპარეზზე გადამწყვეტი სამხედრო ოპერაციების გატარება ფერხდება ამ კონტინენტის მეტისმეტად ძნელი კლიმატური პირობების გამო. იხილავს რა იტალიის სტრატეგიულ მდგომარეობას, გაზეთი აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის სომალის დაკავების შემდეგ იტალიამ საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი სტრატეგიული პოზიციები. ამჟამად აფრიკის სამხარი მოქმედების ასპარეზზე ფრონტის ყველაზე მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს კირენაიკსა და ნილოსის დელტას შორის მდებარე ოლქი. ფრონტის ამ უბანზე მიღწეული წარმატება გამოიწვევდა წარმატებას აფრიკის ფრონტის სხვა უბნებზედაც. იციან რა ეს, ორივე მოწინააღმდეგე გულდასმით მოემზადა გადამწყვეტი ოპერაციებისათვის. ინგლისი მზად არის, რადაც უნდა დაუჯდეს დაიცვას სუეცის არხის მთელი ზონა. თავის მხრივ იტალიის ჯარი ეგვიპტეს ემუქრება. იტალიის ჯარის წინსვლა ნილოსის დელტიდან სუეცის არხისაკენ მოშლიდა ინგლისის უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო ნერვს აფრიკაში. შექმნილი ვითარებისა გამო ინგლისელებმა მერსა-მატრუხის, სიდი-ბარანის და სივას ოაზისის რაიონში შექმნეს გამაგრებული ზონა სამკუთხედის სახით, რომლის ზურგში მათ კარგი კომუნიკაციები აქვთ. ამ სიმაგრეებს ინგლისელები აფრიკის „მაჟინოს ხაზად" სთვლიან და განზრახვა აქვთ აწარმოონ აქ თავდაცვითი ბრძოლები. ნილოსის დელტასთან მდებარე სამხედრო ობიექტებიდან იტალიის იმ ჯარამდე, რომელიც განლაგებულია კირენაიკის საზღვარზე, მანძილი დაახლოებით 600 კილომეტრს უდრის. ინგლისელებს, რომელთაც კარგი კომუნიკაციები აქვთ, შეუძლიათ თავიანთი ჯარი სუეცის არხის ზონიდან ლიბიის თავდაცვის ხაზზე გადაიყვანონ სულ რაღაც 24 საათის განმავლობაში. ინგლისის თავდაცვის ხაზი შექმნილია იმ მიზნით, რომ მოქანცოს იტალიის ჯარი ხანგრძლივი სამარშო გადასვლით აფრიკის უდაბნოებამდე. ინგლისის გეგმა მთლიანად თავდაცვისათვის არის ნაანგარიშევი, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ აფრიკის „მაჟინოს ხაზმა" შესძლოს იტალიელთა შეჩერება. ამ ხაზის გარღვევის შემთხვევაში იტალიელები ისარგებლებენ ინგლისის კარგი კომუნიკაციებით.

უნდა აღინიშნოს, სწერს შემდეგ გაზეთი, რომ სამხარი ოპერაციების მთელი არე ლიბია-ეგვიპტის საზღვარზე მხოლოდ სანაპიროს ვიწრო ზოლისაგან შესდგება. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ამ სანაპირო ზოლის ნაწილი გამოყენებულ იქნას იტალიელთა საფრონტო შეტევისათვის. იტალიის არმიის დარტყმას ლიბიიდან ეგვიპტის ცენტრალური ნაწილის მიმართულებით შეიძლება დაეხმარონ ერთდროული შეტევითი ოპერაციით აღმოსავლეთ აფრიკიდან სუდანის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ აფრიკის ფრონტი ღია კარს წარმოადგენს მდინარე ნილოსის ველისაკენ წინსვლისათვის. იმის შედეგად, რომ იტალიელებმა კასალი და გალაბატი დაიკავეს, ხარტუმის სამხრეთით 270 კილომეტრზე შესწყდა ინგლისის რკინიგზის ხაზი, რომელიც კასალით პორტ-სუდანში მიდის. ფრონტის სუდანის უბანზე, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება იტალია სუდანის დედაქალაქ ხარტუმში შეიჭრას. გარდა ამისა, შეტევა შეიძლება წარმოებულ იქნას ფაშოდის მიმართულებითაც აკობო და კურმუკიდან. თუ იტალიელები მოახერხებენ დაიკავონ მთელი რკინიგზის ხაზი, რომელიც პორტ-სუდანიდან კასალით სენარს მიდის, ეს იქნება საუკეთესო წინამძღვარი შეტევისათვის.

აფრიკის სამხარი მოქმედების ასპარეზის სამხრეთი ფრონტი კენიაში მდებარეობს. მოიალეს დაკავების გამო იტალიის ფრონტი 1.300 კილომეტრით შემცირდა. ბუნის დაკავების შემდეგ იტალიელებს ხელში ჩაუვარდათ კენიის უმეტესი ნაწილი. აქ იტალიელები 90 კილომეტრზე შეიჭრნენ ამ ქვეყნის შიგნით. იტალიელთა ჯარის წინსვლა კენიაში უდიდეს სიძნელეებსა და გაჭირვებასთან არის დაკავშირებული. ამ სიძნელეებს კიდევ უფრო აძიდებს წყლის უქონლობა, აგრეთვე ისიც, რომ ინგლისელებმა უკან დახევის დროს გადასწვეს ყველა სოფელი. მოიალეს დაკავებას იმიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ აქედან იწყება ოლქის საუკეთესო გზატკეცილი. ეს გზა ბუნაზე გავლით, რომელიც მოიალეს 90 კილომეტრით არის დაშორებული და დაკავებულია იტალიელების მიერ, კენიის დედაქალაქ ნაირობში მიდის. ამ უკანასკნელ ხანს იტალიელთა ავიაციამ არაერთხელ დაუშინა ყუმბარები ნაირობს. გერმანიისათვის, აღნიშნავს გაზეთი, კენია განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკასთან, რომელიც გერმანიას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წაართვეს.

ამ ოლქში შემდგომი წინსვლის დროს იტალიელებმა მნიშვნელოვანი დაბრკოლება უნდა გადალახონ. მაგრამ მოიალედან ნაირობს მიმავალი გზატკეცილი გამოსადეგია იტალიის მოტორიზებული ჯარის გადასაყვანად, რაც, რა თქმა უნდა, იტალიის სარდლობას მხედველობაში აქვს მიღებული. ინგლისელებს ჰგონიათ, რომ იტალიელთა კოლონები შეჩერდებიან ჩრდილოეთის მაღალმთიან ოლქზე გადასვლის დროს. გაზეთი ფიქრობს, რომ მეტად საეჭვოა იტალიელებს ეს გზა ჰქონდეთ არჩეული, ვინაიდან შიდა კენიაში შეტევითი დარტყმისათვის იტალიის სარდლობას შეუძლია გამოიყენოს რუდოლფის ტბის ნაპირზე მიმავალი გზა.

დასასრულ გაზეთი სწერს, საბრძოლო მოქმედება აფრიკის ფრონტზე ამჟამად თავის გადამწყვეტ სტადიაში შედისო.

## რუმინეთმა მოახდინა ტრანსილვანიის მეხუთე ზონის ევაკუაცია

**ბუქარესტი,** 10 სექტემბერი (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს კომუნიკეს იმის შესახებ, რომ 9 სექტემბერს რუმინეთმა მოახდინა ევაკუაცია ტრანსილვანიის მეხუთე ზონისა, რომელიც უნგრეთის ხელში გადადის.

## რუმინეთმა დიპლომატები გაიწვია მთელი რიგი ქვეყნებიდან

**ბუქარესტი,** 10 სექტემბერი (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „რუმინეთის მთავრობამ გააუქმა რუმინეთის მისიები მექსიკოში, კოპენჰაგენში, ჰელსინკში, თეირანსა და რიო-დე-ჟანეიროში.

ამას გარდა, რუმინეთის ელჩები გაწვეულია ვატიკანიდან, ანკარიდან, პარიზიდან და რუმინეთის დესპანები—ბერნიდან, ვაშინგტონიდან, ლისაბონიდან, სტოკჰოლმიდან და ბერლინიდან".

## ახალი დეკრეტების გამოცემა რუმინეთში

**ბუქარესტი,** 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ ანტონესკუს შემდეგს დეკრეტებს:

ჯარის ნაწილებს და ყველა დაწესებულებას, რომელსაც დამოკიდებულება აქვს არმიასთან, აკრძალული აქვთ კაროლ მეორის სახელწოდების ტარება, ლიკვიდირებულია სამეფო საბჭო.

დანიშნულია სპეციალური კომისია მეფის სასახლის ქონებისა და ფონდების შესამოწმებლად.

მინისტრების ამხანაგებად დანიშნული არიან შემდეგი პირები: გენერალი გეორგე დობრე—მომარაგების სამინისტროში, გენერალი მიხეილ პანტაზი—ნაციონალური თავდაცვის სამინისტროში, გეორგე ჟიენესკუ—საჰაერო და საზღვაო ფლოტის სამინისტროში, ალექსანდრე რიოშანუ—შინაგან საქმეთა სამინისტროში, ამავე დროს იგი დანიშნულია სიგურანციის (საიდუმლო პოლიცია) დირექტორად.

არმიის რიგებიდან დათხოვნილი არიან შემდეგი გენერლები: ილასიევიჩი, არჯეტოიანუ, ცენესკუ, ილკუსი, მიხაილი, კორნიჩიოი, ბენგლიუ, ბარბუნიანუ, ლიტიანუ, დომბროვსკი, ატანასესკუ. დათხოვნის მოტივია ისა, რომ „არ გააჩნდათ არმიის ხელმძღვანელობის უნარი, მლიქვნელობის მეთოდებით ამცირებდნენ ოფიცრის ღირსებას და დანაშაული მიუძღოდათ არმიის საერთო მდგომარეობის გაუარესებაში".

ანტონესკუს დეკრეტით აკრძალულია „ნაციის პარტია" და „ნაციის პარტიის" გვარდია.

## საფეიქრო ნედლეულის ნაკლებობა რუმინეთში

**სოფია,** 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ნოვა ვეჩერი" იუწყება, რომ რუმინეთის საფეიქრო საწარმოები თითქმის უნედლეულოდ დარჩნენ. ამასთან დაკავშირებით, რუმინეთის საფეიქრო მრეწველობა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. საფეიქრო ნედლეულის გამოტანა ეგვიპტიდან და სამხრეთ ამერიკიდან თითქმის შესწყდა.

უკანასკნელ დღეებში რუმინეთი აგრეთვე მარილის დიდ ნაკლებობას განიცდის. ამან გამოიწვია მარილის ძალზე გაძვირება — კილოგრამი მარილი, 8 ლეის ნაცვლად, 14 ლეი ღირს.

## ვარნის გამოფენის დახურვა

### საბჭოთა პავილიონის უდიდესი წარმატება

**სოფია,** 10 სექტემბერი (საკდესი). ქალაქ ვარნაში (ბულგარეთი) დაიხურა IX საერთაშორისო გამოფენა. გამოფენის ორგანიზაციათა წინასწარი ცნობებით, გამოფენა დაახლოებით 200 ათასმა კაცმა დაათვალიერა. ამავე ცნობების თანახმად, გამოფენაზე დადებულ იქნა გარიგება 12 მილიონი ლევის რაოდენობით.

საბჭოთა პავილიონი უკანასკნელ დღეებამდე უდიდესი წარმატებით სარგებლობს. იგი 167 ათასმა კაცმა დაათვალიერა. ამას გარდა, დაახლოებით 130 ათასმა კაცმა დაათვალიერა ფოტოგამოფენა „სსრ კავშირის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა". საბჭოთა პავილიონში განსაკუთრებით დიდი წარმატებით სარგებლობდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების განყოფილება. არასრული ცნობებით, ეს განყოფილება დაახლოებით 200 ათასმა კაცმა დაათვალიერა. ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომლებიც საბჭოთა პავილიონში იყო დემონსტრირებული, ბულგარეთის ფირმებმა შეისყიდეს, შესყიდულია აგრეთვე გამოფენაზე წარმოდგენილი საბჭოთა საკერავი მანქანები.

გამოფენის დამთვალიერებლებმა სტუმართა წიგნში საბჭოთა პავილიონის შესახებ ათასობით ჩანაწერი დასტოვეს. ამ ჩანაწერთა დიდი უმრავლესობა აღტაცებას გამოსთქვამს საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი წარმატების გამო.

საბჭოთა კინოფილმები, რომლებსაც ყოველდღე ღია ცის ქვეშ უჩვენებდნენ, 315 ათასმა კაცმა ნახა, კინოფილმებს დღეში საშუალოდ 16 ათასი კაცი ნახულობდა. ადგილობრივ სომეხ მცხოვრებთა შორის განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა აგრეთვე კინოჟურნალი „სომხური ხელოვნების დეკადა". საბჭოთა კინოფილმებს ჩვეულებრივ ნახულობდნენ არა მარტო ქალაქის მცხოვრებნი, არამედ ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნიც, ისინი აქ ურმებით მოდიოდნენ და თან მოჰყავდათ თავიანთი ოჯახის წევრები. როგორც საბჭოთა პავილიონის კომისარმა ამხ. კონონოვმა საკდესის კორესპონდენტს აცნობა, გამოფენის დახურვის დღეს საბჭოთა პავილიონი დაათვალიერა დაახლოებით 12 ათასმა კაცმა, უმთავრესად ჯარის ნაწილებმა. ამხ. კონონოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ვარნის გამოფენის საბჭოთა პავილიონის მუშაობის კომერციული შედეგები აღემატება ჩვენი იმ გამოფენის შედეგებს, რომელიც პლოვდივის ბაზრობაზე იყო მოწყობილი მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

## ბულგარეთის მიერ სამხრეთ დობრუჯის დაკავების წესი

**სოფია,** 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ზარიას" და ოფიციოზ „დნესის" გადმოცემით, სამხრეთ დობრუჯის მთელი ტერიტორია დაყოფილია 4 საოკუპაციო ზონად. თვითეული საოკუპაციო ზონა წარმოადგენს ზოლს, რომლის სიღრმე უდრის 15 კილომეტრსა და სიგანე —220 კილომეტრს. თვითეული ზონის დაკავება მოხდება 2-3 დღის განმავლობაში. რუმინეთის ჯარი ბულგარელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიას გაათავისუფლებს ბულგარეთის ჯარის მოსვლამდე 24 საათით ადრე. გაზეთების გადმოცემით, ბულგარეთის საოკუპაციო ჯარს ხელმძღვანელობს კრაიოვში წარმოებული მოლაპარაკების მონაწილე, ვარნის გარნიზონის უფროსი გენერალი პოპოვი.

## ფინეთში გადასდეს კომუნალური არჩევნები

**ჰელსინკი,** 10 სექტემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „უუსი სუომი" იუწყება, ფინეთის მთავრობამ გადასწყვიტა შეიტანოს სეიმში კანონპროექტი იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის კომუნალური არჩევნები 1942 წლამდე გადაიდოს. მთავრობა ამას იმით ასაბუთებს, რომ ორი წლის შემდეგ გადასახლებულნი დასახლდებიან მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე და შესძლებენ მონაწილეობის მიღებას არჩევნებში.

## შვეიცარიის პროტესტი

**ბერლინი,** 10 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს ცნობას „ბერნის ოფიციალურ წყაროდან იმის შესახებ, რომ პასუხად ლონდონში აკრედიტებული შვეიცარიის მისიის პროტესტებისა ინგლისის საჰაერო ძალების მიერ შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმდეგ ინგლისის მთავრობამ 8 სექტემბერს კვლავ გამოსთქვა „თავისი ღრმა მწუხარება" ამ ინციდენტების გამო. ინგლისის მთავრობამ ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ ყველა ინგლისელ მფრინავს მიეცა ბრძანება მოერიდონ შვეიცარიის ტერიტორიაზე ფრენას. შვეიცარიის დესპანს ლონდონში დაევალა მიიღოს ზომები, რათა ეს ბრძანება მტკიცედ შესრულდეს, აგრეთვე მიუთითოს ინგლისის მთავრობას იმ შედეგებზე, რაც შვეიცარიის ნეიტრალიტეტის ახალ დარღვევას შეიძლება მოჰყვეს".

## სამხარი მოქმედება ჩინეთში

**ჩრდილოეთ ჩინეთში.** შანსის პროვინციაში გრძელდება შეუპოვარი ბრძოლა ჯენდინტაიუანის რკინიგზის გასწვრივ. ამ ხაზზე შეწყვეტილია მატარებელთა მიმოსვლა.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ჯენდინ-ტაიუანის რკინიგზის ცალკეულ სადგურებთან ბრძოლის დროს იაპონელებს სულ მცირე 3.000 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ჩინელებმა ტყვედ ჩაიგდეს 200-ზე მეტი იაპონელი.

**ცენტრალურ ჩინეთში.** 6 სექტემბერს ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა შეუტია დინსიძიაოს (კანტონ-ხანკოუს რკინიგზის ჩრდილოეთ უბანზე). იაპონელებმა უკან დაიხიეს ხანმოკლე შეტაკების შემდეგ. ბრძოლის ველზე იაპონელებს დარჩათ 100-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი. ჩინელებმა ხელთ იგდეს დიდძალი საშხანები.

10 სექტემბერი (საკდესი).

## მოკლე ცნობები

⊙ 9 სექტემბერს გაფიცვა გამოაცხადა 600-მდე ჩინელმა მუშამ, რომელნიც საფრანგეთის კონცესიის მუნიციპალური საბჭოს სამუშაოზე არიან დაბანდებული შანხაიში. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა. გაფიცულთა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც დაიჭრა ორი მუშა.

⊙ როგორც კანადიენ პრესის სააგენტო აღმოსავლეთ კანადის ერთერთი ნავსადგურიდან იუწყება, იქ ინგლისიდან 300 მფრინავი ჩასულა, რომელნიც, ალბათ, იმუშავებენ კანადაში ფრენოსანთა კადრების მომზადების ინსტრუქტორებად.

⊙ გიბრალტარში ჩავიდა საფრანგეთის ნაღმოსანი და სავაჭრო გემი. ორივე გემი ინგლისის ხელისუფლებას გადაეცა.

10 სექტემბერი (საკდესი).

„გიორგი სააკაძე" რუსთაველის თეატრში. სურათზე: შაჰ-აბასის სასახლის დარბაზი.

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სეზონის გახსნა

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დაიწყო ახალი სეზონი. წარმოდგენილი იყო უ. ჩხეიძის პიესა „გიორგი სააკაძე". დარბაზი სავსე იყო ხალხით. მაყურებელმა სპექტაკლი კარგად მიიღო და მსახიობები მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. მორიგ პრემიერად თეატრი ამზადებს „სოლომონ მეჯღანუაშვილს".

### ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

## სახელმძღვანელო „დედაენა"

საიუბილეო კომისიამ, რომელიც შექმნილია გამოჩენილი პედაგოგისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო, რაც 27 ოქტომბერს სრულდება, გამოიტანა დადგენილება ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „დედაენას" აღდგენის შესახებ. ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მუშაობა და საიუბილეო დღეებისათვის „დედაენა" დაბეჭდილი იქნება პირვანდელი, რესტავრირებული სახით.

„დედაენა" — პირველი ქართული სახელმძღვანელოა, შედგენილი უახლესი პედაგოგიკისა და მეთოდიკის მოთხოვნათა შესაბამისად. ი. გოგებაშვილამდე არსებული სახელმძღვანელოები ვერ აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნას და ამ სახელმძღვანელოებით სარგებლობა უძნელდებოდა როგორც პედაგოგებს, ისე მოწაფეებს.

ი. გოგებაშვილმა, როგორც მოწინავე პედაგოგმა, ითვალისწინებდა რა მომავალი თაობის ინტერესებს, შეადგინა ახალი სახელმძღვანელო, რომელმაც თავიდანვე დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ი. გოგებაშვილის მიერ 1865 წელს გამოშვებული სახელმძღვანელო ატარებდა შემდეგ სახელს: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის". ეს სახელმძღვანელო იბეჭდებოდა 1876 წლამდე. ამავე წელს ი. გოგებაშვილმა გამოსცა თავისი „დედაენა".

ი. გოგებაშვილი დაუღალავად მუშაობდა სახელმძღვანელოს მასალების გაუმჯობესებაზე, შიგ ათავსებდა ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს: ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. იგი ფართოდ სარგებლობდა მოწინავე პედაგოგების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების (განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის) მითითებებით და ამ მითითებათა საფუძველზე აუმჯობესებდა თავის სახელმძღვანელოს.

1906 წელს ი. გოგებაშვილმა თავისი სახელმძღვანელო ორად გაჰყო: პირველ ნაწილში შედიოდა ანბანი, პატარა მოთხრობები და ლექსები, მეორეში—საკითხავი მასალა.

„დედაენა" 50 წლის განმავლობაში გამოდიოდა (მისი უკანასკნელი გამოცემა 1925 წელს ეკუთვნის). სახელმძღვანელოს საერთო ტირაჟმა ავტორის სიცოცხლეში 1.500.000 ცალს გადააჭარბა. როგორც სჩანს ერთი მოხსენებიდან, რაც ი. გოგებაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარუდგინა, სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი წელიწადში ვრცელდებოდა 30.000 ცალად, მეორე—20.100 ცალად. (საქდესი).

## ფეხბურთი

### ბულგარელ ფეხბურთელებთან შესახვედრად

11 სექტემბერს თბილისიდან მოსკოვს თვითმფრინავით გაფრინდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდის 3 საუკეთესო მოთამაშე: თავდასხმის ცენტრი—პაიჭაძე, გარემარბი — ჯეჯელავა და ნახევარდაცვის ცენტრი — ფროლოვი. ისინი შევლენ ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, რომელიც ამ ახლო დღეებში შეხვდება ამხანაგურ მატჩში მოსკოვს ჩამოსულ ბულგარეთის გუნდს „სლავიას".

15 სექტემბერს „სლავიას" კოლექტივი პირველ შეხვედრას მოსკოვის „სპარტაკთან" ჩაატარებს.

○

თბილისის „დინამოს" 3 წამყვანი მოთამაშის მოსკოვს გამგზავრების გამო, მოსკოვის „მეტალურგისა" და თბილისის „დინამოს" საჩვენებელ გუნდებს შორის სსრ კავშირის 1940 წლის საფეხბურთო პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩი, რომელიც 15 სექტემბერს უნდა ჩატარებულიყო თბილისში, გადატანილია გათამაშების ბოლოში. (საქდესი).

○

### „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ქუთაისი)

**ქუთაისი.** (საკ. კორესპონდენტისაგან). გუშინ, 11 სექტემბერს აქ შესდგა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდის ამხანაგური შეხვედრა ქუთაისის „დინამოს" ფეხბურთელთა 1-ლ გუნდთან. შეჯიბრება დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:2.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 30822100, გაცემული ნესტორ სარდიონის-ძე **დიაკონიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3079348, გაცემული ელენე ათანასეს-ასულ **ბურჯანაძის** სახელზე, და პარტბილეთი № 2857568, გაცემული ისიდორე ირაკლის-ძე **ფუტკარაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## დღეს კინოებში

**კინოებში:** **რუსთაველის სახ.** — „საბჭოთა პატრიოტი", **ოქტომბერი** — „ექიმი კალიუჟნი", **დამკვრელი** (ზამთრის და ზაფხულის) — „საბჭოთა პატრიოტები", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ახალი დროება", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „ჯულბარსი", **ლუქსემბურგის სახ.**—„უკანასკნელი ჯვაროსნები", **სპარტაკი** — „ნამუსი", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „გიული", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „ჩემი სიყვარული", **კომინტერნი**—„მფრინავები", **განთიადი** — „ტრაქტორისტები", **წითელი არმიის სახლი** — „დედაკაცნი", **ვოროშილოვის სახ. კლუბი** — „ჩემი სიყვარული", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „მეგობრები ბანაკიდან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

12 სექტემბერს მე-6 აბ. 1 წარმ. **მადამ სან-ჟენ**

13 სექტემბერს მე-7 აბ. 1 წარმ. **ბედნიერება**

14 სექტემბერს მე-8 აბ. 1 წარმ. **გიორგი სააკაძე**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

### საქენერგოს ენერგოგასაღება

### სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე

### იუწყება,

რომ ყველა მაღალვოლტიან ელექტროდანადგართა, აგრეთვე 50 კილოვატზე მეტი სიმძლავრის დაბალვოლტიან ელექტროდანადგართა შეერთებისათვის **ნებართვის მისაღებად და საქენერგოს სისტემისაგან 1941 წელს ელექტროენერგიის მისაღებად** საჭიროა ყველა საწარმოო მომხმარებლებმა და მშენებლობებმა, რომლებიც პირველად ეპირებიან განახორციელონ 1941 წელს **საქენერგოს** ქსელთან თავიანთ ელექტროდანადგართა შეერთება, **წარმოადგინონ განაცხადი არაუგვიანეს 1940 წ. 18 სექტემბრისა** შემდეგი მისამართით: ქალ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 18, მე-2 სართული, ტელ. №№ 3-77-25 და 3-67-84, **სადაც წინასწარ უნდა მიიღონ განაცხადის ფორმა;**

განაცხადები 1941 წლისათვის საჭირო სიმძლავრესა და ელექტროენერგიაზე საქენერგოს სისტემასთან უკვე **შეერთებულმა მომხმარებლებმა** უნდა შეიტანონ აგრეთვე არაუგვიანეს ა. წ. 18 სექტემბრისა იმავე მისამართით, ენერგოგასაღების მიერ თვითეული საწარმოსათვის გაგზავნილი ფორმის მიხედვით.

**აღნიშნული ვადის შემდეგ განაცხადები აღარ მიიღება და ენერგიისა და სიმძლავრის მიღებაზე ნებართვები აღარ გაიცემა.**

ყველა იმ საწარმოებსა და ზემოთ აღნიშნული კატეგორიის საწარმოო მომხმარებლებს, რომლებიც შეერთებული არიან საქალაქო საბჭოების ქსელთან და ღებულობენ ელექტროენერგიას არა უშუალოდ საქენერგოს სისტემისაგან, არამედ საქალაქო საბჭოების ქსელის მეშვეობით, შეაქვთ განაცხადები ადგილობრივი საქალაქო საბჭოების ელექტრონაგებობათა სამმართველოებში, ხოლო ასლებს უგზავნიან საქენერგოს ენერგოგასაღებას იმავე ვადებში

1161 **საქენერგოს ენერგოგასაღება.**

### თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის

### დაუსწრებელი პედ-სექტორი აცხადებს:

1) დარჩენილი საგნების ჩაბარება დაუსწრებელი სექტორის სტუდენტებისაგან იწარმოებს ა. წ. 15/IX-დან 1/X-მდე.
2) მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 29/IX-ს დილის 9 საათიდან.
3) დაუსწრ. სექტორის აპარატი მუშაობს დილის 9 საათიდან 5½ საათამდე.

200 **დირექცია.**

საქსახესტრადის საზაფხულო
თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები

12 სექტემბერს მე-4 აბ. მე-9 წარმ. **ცისფერი სისხლი**

13 სექტემბერს 1 აბ. მე-9 წარმ. **კორნევილის ზარები**

ღია ესტრადა

12, 13 სექტემბერს სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილე აშუღთა სიმღერების ანსამბლის საღამო ორდენოსან ვ. სააკიანის მონაწილეობით.

დასაწყისი 9 ს. 30 წ.

14, 15 სექტემბერს **დიდი საღამო-სეირნობა.** თვალი ადევნეთ აფიშებს.

ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით.

### თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1—30 ოქტომბრამდე დანიშნულია სახელმწიფო გამოცდების საშემოდგომო სესია.

დაინტერესებულ პირთ ევალებათ 25 სექტემბრამდე გამოცხადდნენ სათანადო ფაკულტეტის მდივნებთან რეგისტრაციისათვის.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
1166 უნივერსიტეტის რექტორი **დ. უიფშიძე.**

### საქ. სახელმწიფო გამომცემლობის სავაჭრო სამმართველო და საქ. „სოიუზპეჩატის" სამმართველო აცხადებენ, რომ

### მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან გაუქმებულია სახელგამის სავაჭრო სამმართველოს პერიოდსექტორი.

ხელისმოწერას სახელგამის გამოცემათა ჟურნალებზე: **„მნათობზე", „ჩვენ თაობაზე", „რეგედასზე" და „არშავზე"** აწარმოებს „სოიუზპეჩატი".

სახელგამის სავაჭრო სამმართველო წინადადებას აძლევს პერიოდსექტორის ყველა რაიონულ და საქალაქო რწმუნებულს, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შესწყვიტონ ხელისმოწერა და დღემდე მიღებული ხელისმომწერის თანხები დაუბრუნონ ხელისმომწერთ.

პერიოდსექტორის მიერ რაიონულ რწმუნებულებზე გაცემული რწმუნებები ამ დღიდან გაუქმებულად ითვლება.

სახელგამის სავაჭრო სამმართველოს უფროსი **ხარაზიანი.**

329 საქ. „სოიუზპეჩატის" დირექტორი **მეზურიშვილი.**

### ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სას.-სამ ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების და დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

### აწარმოებს სტუდენტთა მიღებას 1940-41 სასწავლო წელს

**მიღება იწარმოებს აგრონომიულ ფაკულტეტზე**

1. მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ა) ქართულ ენაში (წერითი და ზეპირი), ბ) რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი), გ) ფიზიკაში, დ) ქიმიაში.

2. მსურველთ შემოაქვთ განცხადება დაუსწრებელი სწავლების განყოფილების გამგის სახელზე (ქ. თბილისი, ნარის ქ. № 29) შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), გ) სამი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, პირადი ხელის მოწერით და სათანადოდ შემოწმებული, დ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ე) პასპორტი (წარედგინება პირადად).

3. განცხადებების მიღება სწარმოებს 1 დეკემბრამდე, მისაღები გამოცდები 1-დან 20 დეკემბრამდე და ჩარიცხვა 20-დან 31 დეკემბრამდე.

361 **დირექცია.**

ექიმი
მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა) ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
ავადმყოფების მიღება დილით და საღამოთი, 8-დან 10 საათამდე. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57. მე-4 შესავალი, მე 2 სართული. 6964

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება საღამოს 6-დან 8 საათამდე ნინოშვილის (ყოფ. ალექსანდროვის), 3ბ. 3—17600

ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის 412 და 414 ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან ნინო ელენტის დედის

**ეკატერინე ელენტის**

გარდაცვალებას. 7807

ბიცოლა ეფროსინე, ბიძაშვილები შალიკო, ევა, ბიძაშვილიშვილები ვაჟა, გურამ, ნათელა, ლამარა, გოგი, მარიკა, მიშა, სიძე პ. მარგველიანი იუწყებიან რაჟდენ ბრეგვაძის ცოლის

**თამარის**

გარდაცვალებას. 7814

გუგული კვერნაძე-კიკაჩეიშვილისა, ვერიკო გიორგაძე, ლენა კიზირია და ქსენია ლეჟავა იუწყებიან უახლოესი ამხანაგის ექიმ

**ჟენია ვაჩაძის**

გარდაცვალებას. 7819

მშობლები ნინო, დავით, ბებია ოლღა, ბიძა ხუტა რეიკინები, ბებია ოლია, დეიდა მაყვალა კიკნაძეები იუწყებიან

**პატარა თინიკოს**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/IX 8 ს. კახეთის, 21, გამოსვენება 13/IX 6 ს. 7815

ოლიკო და გოგი ხომასურიძეები იუწყებიან საყვარელი დედის

**ნატალია ილიას-ასულ ხომასურიძის**

გარდაცვალებას, გამოსვენება 12/IX, საღამოს 6 ს. ორჯონიკიძის ქ. 92-ა.

ცხაკაია, აბესაძე, ცაგარეიშვილი, ქადაგიძე, ბექაია, შანიძე, ჭრელაშვილი, ცხადაია, კეცხოველი, ჭიქაშუა, ძახარაშვილი იუწყებიან გიორგი შანშიაშვილის შვილის

**პატარა ლილის**

გარდაცვალებას. 7809

ახლო მეგობრები ხელიძე, ხარებავა, ლეო რამიშვილი, კეკვაძე, წერეთელი, გურასპაშვილი იუწყებიან ოლიკო ხომასურიძის დედის

**ნატალია ილიას-ასულის**

გარდაცვალებას. 7810

ნ. ბახუაშვილი, თ. გოცირიძე, თ. ნორაკიძე, ქ. გოთუაძე, მ. ნოზაძე, ლ. შილაკაძე, ლ. ნოზაძე, ს. ციციშვილი, ქ. ჩუბინიშვილი, თ. მამამთავრიშვილი, ნ. ციბაძე, ნ. შამუგია, კ. შალამბერიძე, მ. გიგაური იუწყებიან ოლიკოს დედის

**ნატალია ხომასურიძის**

გარდაცვალებას. 7811

თბილისის აბრეშუმ საქსოვი ფაბრიკის სამღებრო საპრეტურო საამქროს მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ინჟინერ გოგი ხომასურიძის დედის

**ნატალიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IX 6 ს. ორჯონიკიძის, 92. 7812

და გუგული, სიძე კოტე კუხალეიშვილი შვილებით ნანათი და ლალით იუწყებიან

**ზენო აბესალომის-ძე ხვედელიძის**

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დანიშნულია 15/IX ს. ზოდში (ქიათურა). 7820

ამხანაგები ნადია, თამარ, ალექსი, ვარლამ დონძაძეები, ევტიხი სურგულაძე, ვარლამ ქაჯაია, თამარ მგელაძე, ანტონინა ხოსლენკო იუწყებიან ძასწავლებელ

**ვალოდია ჩხიკვიშვილის**

გარდაცვალებას.

ქმარი რაჟდენ, დედამთილი ოსანა, შვილები ნინო, მარიამ, მინადორა, მაზლები სოკრატ, ირაკლი იუწყებიან

**თამარ ცხოვრებაძე-ბრეგვაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IX 6 ს. ქალ. I საავადმყოფოდან პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 7814

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 1164